



დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

საქართველო

საკარლამენტო არჩევნები  
2003 წლის 2 ნოემბერი

ევთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების  
ოფისის ანგარიში, 1-ლი ნაწილი



ვარშავა  
28 იანვარი, 2004 წელი

## სარჩევო

I. ზოგადი დანებებები.....	1
II. შესავალი და მადლიერება ბაწუშლი დანებებისათვის .....	3
III. ისტორია .....	4
IV. საკანონმდებლო ჩარჩო .....	6
ა. გამომყენებელი კანონმდებლობა და ზოგადი საარჩევნო დებულებები .....	6
ბ. საკანონმდებლო ჩარჩოს შეფასება .....	7
V. საარჩევნო ადმინისტრაცია .....	8
ა. საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურა და შემადგენლობა .....	8
ბ. არჩევნების ორგანიზება .....	9
გ. კანდიდატების რეგისტრაცია .....	11
დ. ამომრჩეველთა რეგისტრაცია .....	12
VI. საარჩევნო კამპანია .....	14
VII. მედია .....	16
ა. მედიის რეგულირება საარჩევნო კამპანიის დროს .....	16
ბ. მედიის მონიტორინგი .....	17
VIII. დავები, საჩივრები და სარჩევნო არჩევნების დღემდე .....	18
IX. ძაღვის მონაწილეობა .....	19
X. ეროვნული უმცირესობები .....	20
XI. სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი დამკვირვებლები .....	20
XII. ხმის მიცემაზე, ხმების დათვლასა და შედეგების შეჯამებაზე დაკვირვება .....	21
ა. საერთო შეფასება .....	21
ბ. ხმის მიცემის პროცედურები .....	21
გ. ხმების დათვლა .....	23
დ. შედეგების შეჯამება და გამომცხადება .....	23
XIII. არჩევნების დღის შემდგომი სასამართლო დავები, საჩივრები და სარჩევნო .....	27
XIV. არჩევნების შემდგომი მოვლენები .....	27
XV. რეკომენდაციები .....	29
ა. ზოგადი ნაწილი .....	29
ბ. არჩევნების საკანონმდებლო ჩარჩო .....	29
გ. კანდიდატების წარდგენა და რეგისტრაცია .....	30
დ. საარჩევნო კამპანია და მედია .....	31
ე. საარჩევნო ადმინისტრაცია .....	31
ვ. ამომრჩეველთა რეგისტრაცია .....	31
ზ. არჩევნების დღე .....	32
თ. არჩევნების დღის შემდეგ .....	33
ი. სხვადასხვა .....	33
ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ ..	34

**საქართველო**  
**საპარლამენტო არჩევნები**  
**2 ნოემბერი, 2003 წელი**

**ეუთო-ს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისის**  
**საარჩევნო დამკვირვებელთა მისიის ანგარიში<sup>1</sup>, 1-ლი ნაწილი<sup>2</sup>**

**I. ზოგადი დასკვნები**

საქართველოში 2 ნოემბერს გამართული საპარლამენტო არჩევნები არ შეესაბამებოდა ეუთო-ს წინაშე ნაკისრ მთელ რიგ ვალდებულებებს და დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო სტანდარტებს. არჩევნების შედეგად გამოჩნდა, რომ ხელისუფლებას არ ჰქონდა პოლიტიკური ნება ჩაეტარებინა ჭეშმარიტად დემოკრატიული პროცესი. ამის შედეგად, ადგილი ჰქონდა ფართოდ გაურცვლებულ და სისტემატურ საარჩევნო გაყალბებას, როგორც არჩევნების დღეს, ისე მის შემდგომ, განსაკუთრებით აჭარასა და ქვემო ქართლის რეგიონში.

არჩევნების წინ, საქართველოს ხელისუფლება შეეცადა მიეღო ზომები ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული განმეორებადი პრობლემების მოსაგვარებლად. თუმცა, მას არ განუხორციელებია ჭეშმარიტი მცდელობა, შეედგინა ზუსტი და სანდო ამომრჩეველთა სიები. ამომრჩეველთა არასრულყოფილმა რეგისტრაციამ, სხვა შედეგებთან ერთად, შესაძლოა გამოიწვიო ამომრჩეველთა პოტენციურად დიდი რაოდენობისათვის საარჩევნო უფლების დე ფაქტო ჩამორთმევა და აგრეთვე ორჯერადი რეგისტრაცია. ეს ეწინააღმდეგება საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების გარანტიას და შედეგად, იკლო ამომრჩეველთა ნდობამ სახელმწიფო ადმინისტრაციის მიმართ.

მართალია პარტიათა ფართო სპექტრის მონაწილეობამ ამომრჩევლებს არჩევანის ჭეშმარიტი შესაძლებლობა მისცა, მაგრამ ხელისუფლებამ არ უზრუნველყო კამპანიის თანასწორი პირობები ყველა მონაწილისათვის. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის მომხრე ბლოკმა „ახალი საქართველოსთვის“ ვერ შეძლო პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურების ერთმანეთისაგან გამიჯნვა საკუთარი კამპანიის მიმდინარეობისას, რის შედეგადაც ის ბოროტად იყენებდა ადმინისტრაციულ რესურსებს თავის სასარგებლოდ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, განსაკუთრებით რაიონის გამგებლები, ავლენდნენ პოლიტიკურ მიკერძოებულობას და მრავალი მათგანი დახმარებას უწევდა ბლოკს „ახალი საქართველოსთვის.“ წინასაარჩევნო პერიოდს დადი დაასვა სერიოზული ძალადობისა და ამომრჩეველთა დაშინების ორმა შემთხვევამ. აჭარაში არსებულმა პოლიტიკურმა გარემომ პოლიტიკურ პარტიებს იქ კამპანიის გამართვაზე უარი ათქმევინა.

<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ ეს ანგარიში თარგმნილია ქართულად, მისი ინგლისური ვერსია არის ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტი.

<sup>2</sup> ეუთო-ს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისის საარჩევნო დამკვირვებელთა მისიის ანგარიშის 1-ლი ნაწილი ქვეყნდება 2003 წლის 2 ნოემბერს დაწყებული საპარლამენტო არჩევნების პროცესის დასრულებამდე. ამგვარი ფორმალური გადახვევა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სტანდარტული პრაქტიკიდან კარგ შესაძლებლობას იძლევა იმისათვის, რომ მოწოდებულ იქნეს რეკომენდაციები, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საპარლამენტო არჩევნების პროპორციული ნაწილის ხელახლა გამართვამდე 2004 წლის 28 მარტს. გარდა ამისა, ამ ანგარიშთან კავშირში განხილულ უნდა იქნეს 2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოქვეყნებული განცხადება წინასწარი შედეგებისა და დასკვნების შესახებ.

უფასო საეთერო დროის გამოკლებით, მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებმა ვერ უზრუნველჰყვეს საარჩევნო სუბიექტების საქმიანობის პოლიტიკურად გაწონასწორებული გაშუქება. მთლიანად მიკერძოებული იყო აჭარის ტელევიზიის ინფორმაცია, რომელიც გაზვიადებულად და მორჩილად აშუქებდა დემოკრატიული აღორძინების კავშირის საქმიანობას. არჩევნების შემდეგ, ტელეარხმა დასაშვებ ზღვარს გადააბიჯა, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ადოლფ ჰიტლერს შეადარა.

ყველა დონის საარჩევნო კომისიების შემადგენლობა გამორჩეულ უპირატესობას აძლევდა პრეზიდენტის მომხრე პარტიებს. თავდაპირველად, ახლადდანიშნული ცენტრალური საარჩევნო კომისია უფრო გამჭვირვალედ მუშაობდა, ვიდრე მისი წინამორბედი. დაგვიანებული დანიშვნის გამო, კომისია საგრძნობ სირთულეებს განიცდიდა დროის დეფიციტის თვალსაზრისით. მუდმივმა შეყოვნებებმა ხელი შეუწყო გაურკვევლობისა და უნდობლობის ატმოსფეროს წარმოქმნას. საარჩევნო პროცესის შემდგომი მიმდინარეობისას სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო გახდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები. კომისიის არაერთი წევრი ვიწრო პარტიულ ინტერესებს უფრო მადლა აყენებდა, ვიდრე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ისინი ეგუებოდნენ სერიოზულ დარღვევებს და საეჭვო საარჩევნო შედეგებს ყოველგვარი კითხვის გარეშე აღიარებდნენ.

ხმის მიცემის პროცესი იყო არაორგანიზებული, მიმდინარეობდა ნელა და მას თან სდევდა სერიოზული დარღვევები. ეს დარღვევები მოიცავდა საარჩევნო ყუთში ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრას, მრავალჯერად ხმის მიცემას და საარჩევნო ყუთების განადგურებას. ხმის მიცემის ფარულობა არ იყო სათანადოდ დაცული. ზოგიერთი ადგილობრივი დამკვირვებელი საუბრობდა ხელის შეშლისა და დაშინების ფაქტების შესახებ, ხოლო, ერთ შემთხვევაში, დაპატიმრებისა და დაკავების შესახებ.

საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ, მრავალი საუბნო საარჩევნო კომისია არღვევდა ხმების დათვლის მართებულ პროცედურებს. ხმათა შეჯამების დროს, ზოგიერთი საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისია უგულბებლყოფდა ამომრჩეველთა არჩევანს და უშუალოდ მონაწილეობდა არჩევნების ყალბი შედეგების შედგენაში, უმეტესწილად ბლოკ „ახალი საქართველოსთვის“ სასარგებლოდ, თუმცა ყოველთვის ამ ბლოკის სასარგებლოდ არა.

ამ ანგარიშში აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, საარჩევნო პროცესის ზოგიერთ ასპექტში გამოვლინდა საქართველოს პოტენციური ჩაატაროს ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები. ეს ასპექტები მოიცავდა შემდეგ გარემოებებს:

- ◆ ერთიანი საარჩევნო კოდექსი გაუმჯობესებულ საკანონმდებლო ჩარჩოს წარმოადგენდა;
- ◆ კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი უმეტესწილად სამართლიანი და ეფექტიანი იყო;
- ◆ სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი გაერთიანების შექმნის უფლება და მშვიდობიანი თავშეყრის უფლება ზოგადად დაცული იყო;
- ◆ მთლიანობაში, მედია უზრუნველყო საკმაოდ ინფორმირებული ელექტორატის ფორმირება;
- ◆ სამოქალაქო საზოგადოებამ, განსაკუთრებით ქართველმა საარჩევნო დამკვირვებლებმა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გამჭვირვალობის ხარისხის ზრდაში;

- ♦ არჩევნებამდე, სასამართლო ხელისუფლება ზოგადად ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენდა უკმაყოფილო სუბიექტებისათვის და რამოდენიმე შემთხვევაში მან გაბედული და გამართლებული გადაწყვეტილება მიიღო.

გაყალბების მასშტაბმა გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე, რამაც მასობრივი დემონსტრაციები გამოიწვია, რომლებიც პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომითა და უზენაესი სასამართლოს მიერ პროპორციული არჩევნების შედეგების გაუქმებით დასრულდა. სამწუხაროდ, მაჟორიტარული არჩევნების შედეგები, რომელთაგან მრავალი არანაკლებ საეჭვო იყო, არ გაუქმებულა. ნინო ბურჯანაძე, რომელიც იმჟამად პარლამენტის სპიკერი იყო, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახდა. კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად, მან დანიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, რომლებიც 2004 წლის 4 იანვარს გაიმართა. არჩევნების შედეგების ნაწილობრივ გაუქმება გულისხმობდა, რომ პარლამენტის 58-მა არჩეულმა წევრმა საკუთარი ადგილი არ დაიკავა და 1999 წლის ნოემბერში არჩეული პარლამენტი ხელახლა შეიკრიბა. გარდა ამისა, 4 იანვარს გაიმართა ხელახალი ხმის მიცემა ოთხ ოლქში და მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტური 11 ოლქში. ხელახალი პროპორციული არჩევნები დაინიშნა 2004 წლის 28 მარტისათვის.

## II. შუსავალი და მაღლიერება ბაჟუული დახმარებისათვის

ეუთო-ს წევრი ქვეყნის ვალდებულებების შესაბამისად, საქართველომ მოიწვია ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად. საერთაშორისო თანამეგობრობის დიდი დაინტერესების საპასუხოდ, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა საქართველოში მიაგლინა გაძლიერებული და გაფართოებული საარჩევნო დამკვირვებელთა მისია, რომელიც ფორმალურად 2003 წლის 2 სექტემბერს შეიქმნა. მას ხელმძღვანელობდა ჯულიან პილ იეიტსი (ბრიტანეთი) და მის შემადგენლობაში იყო 34 საარჩევნო ექსპერტი და გრძელვადიანი დამკვირვებელი ეუთო-ს წევრი 16 სახელმწიფოდან. ისინი მუშაობდნენ თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში. თუმცა, დამკვირვებლები არ იყვნენ მივლენილნი აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთის ზოგიერთ ნაწილში, სადაც არჩევნები არ გამართულა.

არჩევნების დღეს, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო დამკვირვებელთა მისიას შეუერთდნენ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და ევროპის პარლამენტის წარმომადგენლები, რომლებმაც შეადგინეს საარჩევნო დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია. ბატონი ბრიუს ჯორჯი (ბრიტანეთი), ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, დანიშნულ იქნა ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის მიერ სპეციალურ კოორდინატორად და იგი ხელმძღვანელობდა ეუთო-ს მოკლევადიან დამკვირვებლებს. ბატონი ტომ კოქსი (ბრიტანეთი) ხელმძღვანელობდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას, ხოლო ბატონი დემეტრიო ვოლჩინი (იტალია) ევროპის პარლამენტის დელეგაციის მეთაური იყო. არჩევნებზე მოვლინებულ იქნა 389 მოკლევადიანი დამკვირვებელი ეუთო-ს წევრი 43 სახელმწიფოდან, მათ შორის ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის 21 წევრი, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 21 წევრი და ევროპის პარლამენტის 3 წევრი. საარჩევნო დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია აკვირდებოდა ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცესს 1557 საარჩევნო უბანში საქართველოში არსებულ 2893 საარჩევნო უბნიდან, არჩევნების შედეგების შეჯამებას 42 საოლქო საარჩევნო კომისიაში არსებული 75 საოლქო საარჩევნო კომისიიდან, აგრეთვე ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საოლქო საარჩევნო კომისიების მრავალ სხდომას.

საარჩევნო დამკვირვებელთა მისიას სურს მადლობა გადაუხადოს ეუთო-ს მისიას საქართველოში, აგრეთვე თბილისში აკრედიტირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებს არჩევნებზე დაკვირვების პროცესში გაწეული დახმარებისათვის. გარდა ამისა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი მადლობას უხდის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა ორგანოებს გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

### III. ისტორია

დროის იმ მონაკვეთში, რომელიც უშუალოდ უძღვრება წინ დამოუკიდებლობის აღდგენას და აგრეთვე დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წლის 9 აპრილი) შემდეგ, საქართველომ განვლო პოლიტიკური არასტაბილურობის პერიოდი, რომელიც აღინიშნა ძალისმიერი სეპარატისტული კონფლიქტებით ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (1990-1992) და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (1992-1993). ამის შედეგად, მოხდა მრავალი ეთნიკური ქართველის განდევნა ამ რეგიონებიდან და ბევრი მათგანი კვლავაც დროებით საცხოვრებელ ადგილებში იმყოფება. კონფლიქტები კვლავაც მოუგვარებელია და აფხაზეთის თითქმის მთელი ტერიტორიაზე და სამხრეთ ოსეთის დიდ ნაწილზე ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი არ ვრცელდება.

1995 წლიდან 2001 წლამდე პარლამენტში დომინირებდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, ყოფილი მმართველი პარტია, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ შექმნა. 1999 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგად, გამოკვეთილი უმრავლესობა მოიპოვა მოქალაქეთა კავშირმა, რომელმაც, ოფიციალური შედეგების თანახმად, ხმათა 56% მიიღო.

2001 წელს, დაიწყო მოქალაქეთა კავშირის დაშლა და მან დაკარგა გაბატონებული მდგომარეობა პარლამენტში. უმრავლესობის ფრაქციიდან გამოყოფილი პარლამენტარების პირველმა ჯგუფმა შექმნა ახალი მემარჯვენეების პარტია, რომელიც საკუთარ თავს „კონსტრუქციულ ოპოზიციას“ უწოდებდა. 2001 წლის ნოემბერში, მიხეილ სააკაშვილმა დააარსა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც მოქალაქეთა კავშირის წევრი პარლამენტარების კიდევ ერთი ნაწილი გადაიბირა. ნაციონალური მოძრაობა ყოფილ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისადმი გამოკვეთილი ოპოზიცია იყო. ორივე ახალმა პარტიამ კარგ შედეგს მიაღწია 2002 წლის ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. 2002 წლის ნოემბერში, ზურაბ ჟვანიაშვილმა შექმნა პარტია გაერთიანებული დემოკრატები. 2003 წლის აგვისტოში, ამ პარტიამ ნინო ბურჯანაძესთან და ტრადიციონალისტებთან ერთად შექმნა ოპოზიციური ორიენტაციის ბლოკი, რომელსაც ბურჯანაძე-დემოკრატები ეწოდა.

მოქალაქეთა კავშირმა ცუდი შედეგი მიიღო 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში და ვერ მოიპოვა ვერც ერთი ადგილი თბილისის საკრებულოში. 2003 წელს, მოქალაქეთა კავშირმა შექმნა პრეზიდენტის მომხრე ალიანსი „ახალი საქართველოსთვის“, რომელიც მოიცავდა მემარცხენე და მემარჯვენე პარტიებს, მათ შორის მწვანეთა პარტიას, მოძრაობას „აბრეშუმის გზა“ და ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს (რომელსაც ყოფილი სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა), აგრეთვე ორ პარტიას, რომელიც მანამდე ოპოზიციური იყო - ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და სოციალისტურ პარტიას.<sup>3</sup>

<sup>3</sup> გარდა ამისა, ბლოკს „ახალი საქართველოსთვის“ მხარს უჭერდნენ სხვადასხვა საპარლამენტო ფრაქციები, მათ შორის: თანადგომა, აფხაზეთი, ახალი აფხაზეთი - ქრისტიან-დემოკრატები და

1999 წელს, აღორძინებამ მოიპოვა 58 ადგილი პარლამენტში სოციალისტურ პარტიასთან, ტრადიციონალისტებთან და ბლოკ „21 საუკუნესთან“ კოალიციაში. აღორძინებამ ხმების უმეტესი ნაწილი აჭარაში მიიღო, სადაც პარტიის ლიდერ ასლან აბაშიძეს აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის თანამდებობა ეკავა. აღორძინება საკუთარ თავს ოპოზიციურ პარტიას უწოდებდა, თუმცა მისი პოზიციები ხშირად ბუნდოვანი იყო. ძველ პარლამენტში წარმოდგენილი იყო კიდევ ორი პარტია - მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (მრეწველები) და ლეიბორისტული პარტია (ლეიბორისტები).<sup>4</sup> მრეწველები არც გამოკვეთილად მხარს უჭერდნენ და არც უპირისპირდებოდნენ პრეზიდენტ შვეარდნაძეს, ხოლო ლეიბორისტული პარტია საკუთარ თავს ოპოზიციურ პარტიად მიიჩნევდა.

1999 წლიდან მოყოლებული, ნდობა საარჩევნო პროცესისადმი კლებულობდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ და აშკარა გახდა უკუსვლის ტენდენციები და შემდეგი ნაკლოვანებები: საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში პოლიტიკური ბალანსის არარსებობა; სახელმწიფო და პარტიული სტრუქტურების გამიჯნვის არარსებობა; კამპანიის არათანასწორი პირობები, მათ შორის სახელმწიფო მედიის მიკერძოებულობა და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება; ამომრჩეველთა დაშინება; ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევა საარჩევნო პროცესში; არასანდო ამომრჩეველთა აღრიცხვა; საარჩევნო მანიპულაციები.

2003 წლის 3 მაისს, პრეზიდენტმა შვეარდნაძემ საპარლამენტო არჩევნები 2 ნოემბრისათვის დანიშნა. ეს იყო მეოთხე საპარლამენტო არჩევნები დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. თავდაპირველად, არჩევნები მრავალი ადამიანის მიერ განიხილებოდა, როგორც 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პრელუდია. 22-23 ნოემბრის მოვლენებამდე მიიჩნეოდა, რომ 2005 წლის არჩევნებს უნდა განესაზღვრა, თუ ვინ იქნებოდა მემკვიდრე პრეზიდენტ შვეარდნაძისა, რომელსაც, კონსტიტუციის თანახმად, არ ჰქონდა მესამე ვადით კენჭისყრის უფლება.

წინა არჩევნების დროს გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არსებული სერიოზული ეჭვების გამო, სარფთხე შეექმნა საზოგადოების ნდობას პროცესის მიმართ. მართლაც, არჩევნებამდე რამოდენიმე თვით ადრე, არაერთი მოსაუბრე აღნიშნავდა, რომ მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობით განპირობებული იმედგაცრუება და შიში, რომ არჩევნები პატიოსნად არ ჩატარდებოდა, შეიძლებოდა გამხდარიყო მიზეზი არასტაბილურობისა და შესაძლოა ძალადობისაც კი, როგორც არჩევნების წინ, ისე არჩევნების შემდგომ.

საერთაშორისო თანამეგობრობამ საგრძნობი მხარდაჭერა შესთავაზა საქართველოს და დიდი ინტერესი გამოიჩინა საარჩევნო პროცესის მიმართ, რომელიც გამაწყვეტ ფაქტორად იყო მიჩნეული საქართველოს სამომავლო დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით.

## საკონსტიტუციო რეფერენდუმი

საქართველოს რეგიონები, ზოგიერთი დამოუკიდებელი პარლამენტარი და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები.

<sup>4</sup> 1999 წლის არჩევნების ოფიციალური შედეგების თანახმად, მრეწველებმა მიიღეს ხმათა 7,13%, ხოლო ლეიბორისტებმა მიიღეს 6,82% და ვერ გადალახეს 7% ბარიერი. შემდგომში, ლეიბორისტულმა პარტიამ წარადგინა ორი საარჩევნო საჩივარი ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოში. გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა. ლეიბორისტებს პარლამენტში ორი დეპუტატი წარმოადგენდა.

საპარლამენტო არჩევნებთან ერთად გაიმართა საკონსტიტუციო რეფერენდუმი. შეკითხვა იყო: „მომხრე ხართ თუ არა, რომ პარლამენტის წევრთა რიცხვი შემცირდეს და განისაზღვროს არა უმეტეს 150 წევრით?“ წინადადებას მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა 83,5%. რადგანაც რეფერენდუმის შედეგი იურიდიულად სავალდებულო არ იყო, ახლა პარლამენტმა უნდა შეიტანოს შესწორება კონსტიტუციაში, რათა მას კანონის ძალა მიენიჭოს. თუმცა, კვლავაც გაურკვეველია, განხილავს თუ არა პარლამენტი ამ საკითხს და თუ განიხილავს, როდის. საარჩევნო დამკვირვებელთა მისია არ ახორციელებდა მეთვალყურეობას რეფერენდუმზე, მაგრამ შეაფასა ორივე პროცესის ერთდროულად გამართვის შედეგები.

#### IV. საკანონმდებლო ჩარჩო

##### ა. გამომწვეული კანონმდებლობა და ზოგადი საარჩევნო დებულებები

კონსტიტუცია ითვალისწინებს ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოს შექმნას, რომელიც რესპუბლიკის საბჭოსა და სენატისაგან იქნება შედგენილი. თუმცა, რადგანაც არ ხერხდება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების მოგვარება, სენატი ჯერ არ შექმნილა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ჰყავს ერთპალატიანი პარლამენტი შემდგარი 235 დეპუტატისაგან, რომელთაგან 150 აირჩევა პარტიული სიებით პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით, ხოლო 85 მაჟორიტარული სისტემით არის არჩეული. დეპუტატებს ირჩევენ ოთხწლიანი ვადით, ფარული ხმის მიცემით, რომელიც თავისუფალ, საყოველთაო, თანასწორ და პირდაპირ საარჩევნო უფლებას ემყარება. პროპორციული არჩევნები იმართება ერთიან ოლქში, რომელიც მთელს ქვეყანას მოიცავს, ხოლო მაჟორიტარული არჩევნები საარჩევნო ოლქებში ტარდება.

2001 წლის აგვისტოში, პარლამენტმა დაამტკიცა ყოვლისმომცველი ერთიანი საარჩევნო კოდექსი, რათა განხორციელებულიყო საარჩევნო პროცესის კონსოლიდირება და ჰარმონიზაცია. კოდექსი შესწორებულ იქნა 2002 წლის აპილში და აგრეთვე ორჯერ 2003 წლის აგვისტოში. აქტიური საარჩევნო უფლება (ამომრჩეველისა) ენიჭება საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი, გარდა პირებისა, რომლებიც აღიარებულნი არიან ქმედუუნაროდ და პირებისა, რომელთა თავისუფლება აღკვეთილია კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. პასიური საარჩევნო უფლება (კანდიდატისა) ენიჭება ყველა ამომრჩეველს, რომელსაც შეუსრულდა 25 წელი. ერთიანი საარჩევნო კოდექსით დადგინდა, რომ კანდიდატები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოში სულ მცირე 10 წლის მანძილზე და აგრეთვე ცხოვრობდნენ საქართველოში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში.

პარტიებს, პოლიტიკურ ორგანიზაციებს, კოალიციებსა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პროპორციულ არჩევნებში, თუ წარმოადგენენ 50 000 მხარდამჭერი ამომრჩეველის ხელმოწერას (რაც ელექტორატის დაახლოებით 1,6% შეადგენს). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საარჩევნო სუბიექტებზე, რომლებსაც ჰყავთ წარმომადგენელი მოქმედ პარლამენტში. მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა შეაგროვოს 1000 ხელმოწერა, უნდა ცხოვრობდეს მოცემულ საარჩევნო ოლქში, ან უნდა იყოს პარლამენტის წევრი. კანონმდებლობა აგრეთვე არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევს დამოუკიდებელ კანდიდატებს.

პროპორციულ არჩევნებში მანდატების მოსაპოვებლად პარტიებმა უნდა მიიღონ „არჩევნებში მონაწილეთა ხმების 7%.“ როგორც მაჟორიტარულ, ისე პროპორციულ

არჩევნებში საჭიროა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სულ მცირე ერთი მესამედის მონაწილეობა, რათა არჩევნები შედგეს. მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებულად ცხადდება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმების უდიდეს რაოდენობას, მაგრამ არა ნაკლებ „არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა“ ხმების ერთი მესამედისა. თუ ხმების ამ რაოდენობას ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს, არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში იმართება არჩევნების მეორე ტური, რომელშიც პირველ ორ ადგილზე გასული კანდიდატი მონაწილეობს. მეორე რაუნდში გამარჯვებისათვის კანდიდატს უბრალოდ მეტოქეზე მეტი ხმის მოპოვება სჭირდება.

რადგანაც არჩევნების ჩატარება შეუძლებელი უყო აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ზოგიერთ ნაწილში, არჩევნები არსებული 85 ოლქიდან 75-ში ჩატარდა.<sup>5</sup> ერთიანი საარჩევნო კოდექსის თანახმად, „გახანგრძლივდა“ აფხაზეთში 1992 წელს არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება. აფხაზეთის დეპუტატების უფლებამოსილებათა განახლება გულისხმობდა, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნების დროისათვის ეს დეპუტატები უკვე 15 წელი იქნებიან პარლამენტში არჩევის გარეშე. თუმცა, კანონი არ ითვალისწინებს საპარლამენტო წარმომადგენლობას სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ჯავისა და ცხინვალის ოლქებისათვის. მიუხედავად ამისა, ისევე, როგორც წინა არჩევნების დროს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შექმნა ლიახვის საარჩევნო ოლქი. ამ ოლქს არა აქვს მკაფიო საზღვრები სამხრეთ ოსეთის შიგნით და ეს საშუალებას აძლევს ზოგიერთ სოფელს (უმეტესწილად ქართულ სოფლებს) უშუალოდ აირჩიოს საკუთარი წარმომადგენელი და მონაწილეობა მიიღოს პროპორციულ არჩევნებში. ქარელის ოლქში გაიხსნა სამი დამატებითი საარჩევნო უბანი სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებელთათვის და ხმის მიცემა გაიმართა აგრეთვე კოდორის ხეობაში აფხაზეთში.

## ბ. საპარლამენტო ჩარჩოს შეფასება

ისევე, როგორც წინა არჩევნების შემთხვევაში, ერთიანი საარჩევნო კოდექსი საგრძნობლად იქნა შესწორებული 2003 წლის აგვისტოში, როდესაც არჩევნებისათვის მზადება უკვე დაწყებული იყო. ერთიანი საარჩევნო კოდექსში გათვალისწინებული იყო ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მრავალი რეკომენდაცია. მთლიანობაში, ის წარმოადგენდა შესაფერის ჩარჩოს დემოკრატიული არჩევნების გამართვისათვის, თუ მისი გამოყენება მოხდებოდა მიუკერძოებლად და ერთგვაროვნად. პარლამენტის მიერ გათვალისწინებული რეკომენდაციები მოიცავდა დებულებებს, რომლებიც:

- ◆ უფლებას აძლევდა იძულებით გადაადგილებულ პირებს მონაწილეობა მიეღოთ მაჟორიტარულ არჩევნებში;
- ◆ ითვალისწინებდა ამომრჩეველთა ცენტრალიზებული აღრიცხვის შემოღებას;
- ◆ აძლევდა პოტენციურ კანდიდატებს დროს მათ სარეგისტრაციო დოკუმენტებში არსებული ტექნიკური შეცდომების გამოსასწორებლად;
- ◆ ადგენდა კამპანიის თანახმად პირობებს;
- ◆ მეტ თავისუფლებას ანიჭებდა ადგილობრივ დამკვირვებლებს მათი საქმიანობის განხორციელებისას;
- ◆ ზრდიდა საარჩევნო კომისიების საქმიანობის გამჭვირვალობას;
- ◆ აუმჯობესებდა ხმის მიცემის პროცედურებს ამომრჩეველთა მარკირების (მრავალჯერადი ხმის მიცემის აღკვეთის მიზნით), ბიულტენების კონვერტებში მოთავსებისა და გამჭვირვალე საარჩევნო ყუთების გამოყენების გზით;

<sup>5</sup> არჩევნები გაიმართა თბილისის 10 ოლქში, ოთხ ქალაქში და 61 ოლქში.

◆ აღგენდა მკაფიო და უფრო ზუსტ წესებს საარჩევნო დაკვების მოგვარებისათვის. მიუხედავად ამ დადებითი ცვლილებების მნიშვნელობისა, საკანონმდებლო დებულებების ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოყენება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც კანონმდებლობის ხარისხი და შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანიც. სამწუხაროდ, საარჩევნო ადმინისტრაციამ ვერ შეძლო კანონმდებლობის შესაფერისად გამოყენება. უფრო მეტიც, ერთიან საარჩევნო კოდექსში არ იყო გათვალისწინებული წარსულში მოწოდებული მთელი რიგი რეკომენდაციები. ამ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები (XV ნაწილი) ზოგიერთ მნიშვნელოვან ნაკლოვანებას ესება.

## V. საარჩევნო ადმინისტრაცია

### ა. საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურა და შიდაგეგმვა

საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურა შედგებოდა სამი დონისაგან და მოიცავდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 75 საოლქო საარჩევნო კომისიას და 2893 საუბნო საარჩევნო კომისიას. ცენტრალური საარჩევნო კომისია და საოლქო საარჩევნო კომისიები მუდმივმოქმედი ორგანოებია. საარჩევნო კომისიები პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრებისაგან შედგებოდა და მმართველ პარტიას ტრადიციულად გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. პარტიებს აგრეთვე შეუძლიათ დანიშნონ თავიანთი წარმომადგენლები (რწმუნებულები) საარჩევნო კომისიებში, რომლებიც კენჭისყრაში არ მონაწილეობენ.

საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობის საკითხში ჭეშმარიტი პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა იყო პარლამენტისათვის უკანასკნელ წლებში. მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა ყველა პარტიისათვის სანდო კანდიდატების ნაკლებობის გამო.<sup>6</sup> საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა 2003 წლის არჩევნების დროს არანაკლებ საკამათო იყო და დემოკრატიული არჩევნების მოლოდინი 2 ნოემბრამდე ძალზე დაბალი იყო.

საარჩევნო კოდექსში აგვისტოში შეტანილი შესწორებები ითვალისწინებდა 15 წევრიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც იქნებოდა: პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრი, აღორძინების მიერ დანიშნული 3 წევრი, მრეწველების მიერ დანიშნული 2 წევრი, აგრეთვე ახალი მემარჯვენეების, გაერთიანებული დემოკრატების, ნაციონალური მოძრაობისა და ლეიბორისტების მიერ დანიშნული თითო წევრი. უჩვეულო იყო ის, რომ ერთიანი საარჩევნო კოდექსის თანახმად, პრეზიდენტს ეუთო-ს მიერ წარგენილ კანდიდატთაგან ერთ-ერთი უნდა დაენიშნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ. მართალია ფორმულა (5+3+2+4+თავმჯდომარე) უზრუნველყოფდა პარტიების პლურალისტულ წარმომადგენლობას ადმინისტრაციაში, მაგრამ პრეზიდენტის მიერ დანიშნული ხუთი წევრის ტაქტიკური ალიანსი აღორძინებისა და მრეწველების მიერ დანიშნულ ხუთ წევრთან ან ჯგუფს დე ფაქტო ორი მესამედის უმრავლესობას და ცენტრალური საარჩევნო კომისიის კონტროლის საშუალებას აძლევდა. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა ასეთივე იყო.

აგვისტოში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ძველი წევრების უმეტესობა შეიცვალა და მათი ზოგიერთი სადავო გადაწყვეტილება გაუქმდა. 30 აგვისტოს, ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის სპეციალურმა წარმომადგენელმა და ევროსაბჭოს

<sup>6</sup> ერთიანი საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაცია არის „დამოუკიდებელი“ და კომისიის წევრებმა უნდა შეასრულონ კანონით დაკისრებული ვალდებულებები, თუმცა კოდექსში არ არის ნათკვამი, რომ მათ თავიანთი ფუნქციები „მიუკერძოებლად“ უნდა განახორციელონ.

გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა პრეზიდენტს წარუდგინეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის სამი კანდიდატის სია. 1 სექტემბერს, პრეზიდენტმა თანამდებობაზე დანიშნა მოქმედი სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი. არაერთმა ოპოზიციურმა პარტიამ იმთავითვე შეიტანა ეჭვი ამ თანამდებობისათვის მის შესაფერისობასა და მიუკერძოებლობაში.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დანიშნა საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები და რეგისტრაციაში გაატარა საარჩევნო სუბიექტები. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა კანონის განხორციელების წესები. ამავე დროს, თითოეული საოლქო საარჩევნო კომისია ფართო უფლებამოსილებას ფლობს საოლქო დონეზე არჩევნების ადმინისტრირების საკითხში. საუბნო საარჩევნო კომისიები უშუალოდ ექვემდებარებოდნენ საოლქო საარჩევნო კომისიებს. კანონის თანახმად, საარჩევნო უბნები შეიძლება გახსნილიყო მინიმუმ 20 და მაქსიმუმ 2000 ამომრჩევლისათვის. თუმცა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა დაეშვა 3000 ამომრჩევლის რეგისტრაცია ერთ საარჩევნო უბანზე. ქვორუმის მისაღებად საჭიროა, რომ სხდომას კომისიის წევრთა უმრავლესობა ესწრებოდეს. გადაწყვეტილებები მიიღებოდა დამსწრეთა უმრავლესობის მიერ, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებათა მისაღებად ორი მესამედის მხარდაჭერა იყო აუცილებელი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა დანიშნვა დავის საგანი გახდა. აგვისტოში, ძველმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო საკამათო დადგენილება, რომლის თანახმად საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატების წარდგენის უფლება ეძლეოდათ გამგებლებს, საკრებულოებს, ან ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა ორ მესამედს. ამ დადგენილების კანონიერებასთან დაკავშირებით საჩივარი არ წარდგენილა, მოიუხედავად იმისა, რომ ის წარმოადგენდა გადახვევას ერთიანი საარჩევნო კოდექსიდან. დადგენილების განხორციელების შედეგად, საოლქო საარჩევნო კომისიების პრაქტიკულად ყველა დანიშნული თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე ბლოკ „ახალი საქართველოსთვის“ აღორძინებისა და მრეწველების წარდგენილი იყო. მართლაც, მხოლოდ შვიდი მათგანი იყო წარდგენილი ოპოზიციის მიერ და მათი უმრავლესობა მომდევნო კვირებში იქნა შეცვლილი.<sup>7</sup> ამრიგად, ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ბალანსის აშკარა რღვევას, რაც ასუსტებდა ნდობას საოლქო საარჩევნო კომისიათა მიუკერძოებლობის მიმართ.

საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა ასევე იყო დავის საგანი და შეფერხებებით მიმდინარეობდა. ისევე როგორც საოლქო საარჩევნო კომისიების შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები მხარს უჭერდნენ ბლოკს „ახალი საქართველოსთვის.“ 15 ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიები ძველმა საოლქო საარჩევნო კომისიებმა დანიშნეს, რასაც ბრალდებები და გასაჩივრება მოჰყვა. აჭარაში საუბნო საარჩევნო კომისიათა თავმჯდომარეების აბსოლუტური უმრავლესობა აღორძინების მხარდაჭერით სარგებლობდა. თუმცა, ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ აქ კანდიდატების წარდგენაც ვერ შეძლო.

## ბ. არჩევნების ორგანიზება

საარჩევნო ადმინისტრაციის რესტრუქტურის შეფარება და ახალი წევრების დაგვიანებით დანიშნვამ უარყოფითი გავლენა მოახდინა არჩევნების ორგანიზებაზე. დროის სიმციროს გამო, ახალი ცენტრალური საარჩევნო კომისია სერიოზულ

<sup>7</sup> მაგალითად, კახეთის რეგიონში თანამდებობაზე არ დარჩენილა ოპოზიციის მიერ წარდგენილი ოთხი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედან არცერთი.

სირთულეებს წააწყდა არჩევნებისათვის მზადებისას და კანონით დადგენილი ვადები ხშირად იცვლებოდა, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა კანონს ეწინააღმდეგებოდა. შემდგომში, ვადების გადაწვევამ შეუძლებელი გახადა ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის დადგენილ ვადებში ჩაეტარებინა პროცედურები, რომლებიც არჩევნების დღემდე მცირე ხნით ადრე უნდა გამართულიყო. უფრო მეტიც, არ იყო საკმარისი დრო ყველა იმ დადგენილების მისაღებად, რომელიც აუცილებელი იყო ერთიანი საარჩევნო კოდექსის განსახორციელებლად. ცენტრალური საარჩევნო კომისია არ იღებდა სათანადო დახმარებას მთავრობისაგან, რომელმაც მას თანხები დაგვიანებით გამოუყო. ამის შედეგად, საოლქო საარჩევნო კომისიები იძულებულნი იყვნენ განსაკუთრებულ ვითარებაში დახმარებისათვის მიემართათ ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის.

ახალი ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე გაცილებით უფრო გამჭვირვალედ მუშაობდა, ვიდრე მისი წინამორბედი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომებს ეფექტიანად უძღვებოდნენ და, მთელ რიგ შემთხვევებში, ცენტრალური საარჩევნო კომისია მოქმედებდა, როგორც კოლეგიალური ადმინისტრაციული ორგანო და არა როგორც პოლიტიკური ფორუმი, რადგანაც ბლოკური ხმის მიცემა იშვიათი იყო. კანდიდატების რეგისტრაციის დროს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ეფექტიანად იყენებდა საკუთარ უფლებამოსილებებს, რათა გაეუქმებინა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული ზოგიერთი არასწორი გადაწყვეტილება. გარდა ამისა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განმარტა კანონის ზოგიერთი ბუნდოვანი დებულება, მოახდინა რეფერენდუმის პარალელურად გამართვასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტექნიკური საკითხის ჰარმონიზაცია და შემოიღო ზოგიერთი პოზიტიური ინოვაცია.<sup>8</sup>

თუმცა, კომისიამ ვერ გამოიყენა საკუთარი უფლებამოსილება ერთიანი საარჩევნო კოდექსის ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. მაგალითად, მან:

- ◆ არ განსაზღვრა ადეკვატურად არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა და ის რიცხვი, რომლის მიხედვითაც უნდა გამოთვლილიყო 7% ბარიერი. ეს საკითხები ძალზედ მნიშვნელოვანია, რათა განისაზღვროს შედგა თუ არა არჩევნები, არის თუ არა საჭირო არჩევნების მეორე ტური და რომელმა პარტიებმა მოიპოვეს მანდატები პროპორციულ არჩევნებში. გადაწყვეტილებები მხოლოდ არჩევნების დღის შემდეგ იქნა მიღებული.
- ◆ არ დაადგინა საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმი, რომელიც დაავალდებულებდა საოლქო საარჩევნო კომისიებს შეეტანათ ყველა საარჩევნო უბნის შედეგების ცხრილი საოლქო დონეზე გამოქვეყნებულ შედეგებში, რაც საშუალებას მისცემდა პარტიებს გადაემოწმებინათ შედეგების დათვლის სისწორე.
- ◆ არ მიუთითა საუბნო საარჩევნო კომისიებს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო ყუთში კონვერტების რაოდენობა უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე ხელმოწერათა რაოდენობა საარჩევნო სიაში.
- ◆ არ განსაზღვრა ადეკვატურად, თუ რა პირობებში ითვლება ხმა (ანუ ბიულეტენები და კონვერტი) ბათილად. შედეგად, გაურკვეველი დარჩა გამოცხადდებოდა თუ არა ბათილად საპარლამენტო არჩევნების ბიულეტენი,

<sup>8</sup> კომისიამ გადაწყვიტა, რომ: უნდა მომხდარიყო ერთიანი საარჩევნო კოდექსით და რეფერენდუმის შესახებ კანონით გათვალისწინებული ხმის მიცემისათვის დადგენილი განსხვავებული დროის ჰარმონიზაცია; სამივე ბიულეტენი უნდა მოთავსებულიყო ერთ კონვერტში და ერთ საარჩევნო ყუთში, ხოლო ამომრჩევლებს სამჯერ უნდა მოეწერათ ხელი ამომრჩეველთა სიაში, რათა დაედასტურებინათ სამი ბიულეტენის მიღება. გარდა ამისა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოსთხოვა საუბნო საარჩევნო კომისიებს, რომ არჩევნების დღეს ხელი მოეწერათ და ბეჭედი დაესვათ ბიულეტენების კონვერტებზე, რაც ამცირებდა საარჩევნო ყუთში ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრის შესაძლებლობას.

თუ იმავე კონვერტში არ იყო მოთავსებული რეფერენდუმის ბიულეტენი, ან თუ მასთან ერთად მოთავსებული რეფერენდუმის ბიულეტენი ბათილი იყო.

- ♦ არ დაგეგმა ადეკვატურად არჩევნების წინასწარი და საბოლოო შედეგების გამოქვეყნება. უფრო მეტიც, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ მისცა თანამშრომლებს მითითება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ემოქმედათ არარეალური შედეგების არსებობის შემთხვევაში.

რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, ცენტრალური საარჩევნო კომისია ყოველთვის არ უზრუნველყოფდა, რომ არჩევნები კანონის შესაბამისად ჩატარებულიყო. ის აღიარებდა არჩევნების ყალბ და საეჭვო შედეგებს და არ სურდა ეფექტიანად განეხილა საარჩევნო საჩივრები.

საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა დაგვიანებით დანიშნვამ წარმოშვა დროის საგრძნობი დეფიციტი და ზოგიერთი კომისიის პირველი სხდომა 22 სექტემბრამდე არ გამართულა. მრავალ ოლქში, ძველმა საოლქო საარჩევნო კომისიებმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს მანამ, ვიდრე ახალი თავმჯდომარეები თანამდებობას დაიკავებდნენ. რამოდენიმე ოლქში, საოლქო საარჩევნო კომისიების ახალი თავმჯდომარეების შეცვლამ მძაფრი უთანხმოება წარმოშვა, რომელმაც მათი მუშაობის პარალიზება გამოიწვია უმნიშვნელოვანეს მოსამზადებელ ეტაპებზე. 75 ოლქიდან თითქმის ნახევარში პარტიებმა გამოთქვეს ეჭვი, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები მიკერძოებულნი იყვნენ ბლოკ „ახალი საქართველოსთვის“ სასარგებლოდ, ხოლო დამკვირვებელთა დიდმა უმრავლესობამ მიიღო სარწმუნო ინფორმაცია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიათა თავმჯდომარეების დანიშნვისას უპირატესობა ამ ბლოკს ენიჭებოდა. გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა მიიღეს მრავალი შეტყობინება იმის შესახებ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ერეოდნენ საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობაში, რაც ეჭვქვეშ აყენებდა საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობას. არჩევნების დღის შემდეგ, მრავალმა საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ იმოქმედა ერთიანი საარჩევნო კოდექსის შესაბამისად და ზოგიერთი მათგანი აქტიურად მონაწილეობდა ყალბი შედეგების მიღებაში ან ხელს უწყობდა ამ პროცესს.

## ბ. კანდიდატების რეგისტრაცია

არჩევნებში ყველა ძირითადი პარტია მონაწილეობდა და არც ერთ მათგანს არ შექმნია უკანონო სირთულეები პარტიული სიების რეგისტრაციისას. მთლიანობაში, კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი პროგრესით აღინიშნა და რეგისტრაციაზე უარი გაცემის უფრო ნაკლები კანდიდატს ეთქვა, ვიდრე 1999 წელს. 20 სექტემბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პროპორციულ არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრაციაში გაატარა 43 პოლიტიკური პარტია. ამათგან ერთი (სახალხო პარტია) თავად გამოეთიშა პროცესს, ხოლო სამს უარი ეთქვა საბოლოო რეგისტრაციაზე დოკუმენტების დაგვიანებით წარდგენის გამო. ამრიგად, არჩევნებში მონაწილეობდა 39 პარტია, ზოგიერთი დამოუკიდებლად, ხოლო ზოგი კი, როგორც კოალიციის ნაწილი. არჩევნებში პარტიათა ფართო სპექტრის მონაწილეობა პოლიტიკური პლურალიზმის მაჩვენებელი იყო და ამომრჩევლებს არჩევანის ჭეშმარიტ შესაძლებლობას აძლევდა.

ბევრმა პარტიამ, როგორც ჩანს, არ იცოდა, რომ მათ მაქორიტარ კანდიდატებს 1000 ხელმოწერა უნდა შეეგროვებინათ, ხოლო ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ეს საკითხი მხოლოდ რეგისტრაციის საბოლოო ვადის გასვლამდე მცირე ხნით ადრე დაახუსტა. მართალია დამკვირვებლებს არ შეუძინევიათ კანდიდატების განსაკუთრებული აქტიურობა ხელმოწერების შეგროვების მხრივ, მაგრამ საბოლოოდ კანდიდატთა უმეტესობამ ხელმოწერათა საჭირო რაოდენობის წარდგენა შეძლო.

საოლქო საარჩევნო კომისიათა უდიდესი ნაწილი კანდიდატებს თანაბარი კრიტერიუმებით განიხილავდა და რეგისტრაციის პროცესმა მეტ-ნაკლებად მშვიდად ჩაიარა. თუმცა, ზოგიერთმა კომისიამ ვერ მისცა დაწუნებულ კანდიდატებს საკმარისი დრო სარეგისტრაციო დოკუმენტებში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, როგორც ამას ერთიანი საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს. პოზიტიური მოვლენა იყო ის, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შექმნა მრავალპარტიული ქვეკომიტეტი, რომელსაც უნდა გადაემოწმებინა, თუ რადენად სწორი იყო საოლქო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებები კანდიდატების რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

ოლქების უმეტეს ნაწილში მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობას კანდიდატთა ფართო სპექტრი იღებდა. 75 მაჟორიტარული ადგილისათვის საბრძოლველად რეგისტრაციაში 460 კანდიდატი გატარდა, ხოლო დაახლოებით 100 კანდიდატს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.<sup>9</sup> ამავე დროს, სერიოზული შემწოთება გამოიწვია რეგისტრაციის პროცესმა რამოდენიმე ოლქში (ბოლნისში, ტყიბულში და გარდაბანში), სადაც იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ბლოკს „ახალი საქართველოსთვის“ გადაწყვეტილი ჰქონდა არ მიეცა სერიოზული ოპონენტი კანდიდატებისათვის არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. ორ ოლქში (ლენტეხში და ჩოხატაურში) არჩევნებში მხოლოდ თითო კანდიდატი მონაწილეობდა.

## დ. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ამომრჩეველთა არაზუსტი სიები ტრადიციული პრობლემაა. მიუხედავად მრავალგზის რეკომენდაციებისა, რომ მოგვარებულყო ეს საკითხი, საგრძნობ პროგრესს ადგილი არ ჰქონია 2003 წლის 13 მარტამდე, როდესაც პრეზიდენტის განკარგულებით შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა ამომრჩეველთა შესახებ მონაცემების შეგროვება, რათა შეცვლილიყო არსებული ამომრჩეველთა სიები, რომლებიც უმეტესწილად ხელნაწერი იყო და რომელთა განახლება არ მომხდარა მრავალი წლის მანძილზე. გადაწყვეტილება ამომრჩეველთა აღირცხვის გაუმჯობესების თაობაზე აუცილებელი იყო, თუმცა კი ძალზედ დაგვიანებული. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებამ ჯეროვნად ვერ შეაფასა ამოცანის მასშტაბი და არ განახორციელა რეალური მცდელობა შეედგინა ამომრჩეველთა ზუსტი და სანდო სიები. საბოლოოდ, მათი უნარი შეესრულებინათ დასახული ამოცანა არ აღმოჩნდა მათი ამბიციის შესაბამისი. 75 ოლქიდან დამკვირვებლებს ამომრჩეველთა სიები დადებითად არც ერთ ოლქში შეუფასებიათ. არაზუსტმა სიებმა წარმოშვა პრობლემები საყოველთაო და თანასწორი ხმის მიცემის კუთხით.

ერთიან საარჩევნო კოდექსში გვიან შეტანილი შესწორებების შედეგად, საგრძნობლად შეიცვალა ამომრჩეველთა სიების შედგენის პროცედურები და შეიქმნა ამომრჩეველთა ცენტრალიზებული ეროვნული სია. ამომრჩეველთა მონაცემთა ბაზა შედგენილ იქნა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ ხელისუფლების მიერ მიწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.<sup>10</sup> წინა არჩევნებისაგან განსხვავებით, ერთიანი საარჩევნო კოდექსის თანახმად, გაუქმდა ამომრჩეველთა დამატებითი სიები და მოქალაქეებს აღარ ჰქონდათ არჩევნების დღეს ხმის მისაცემად რეგისტრაციის გავლის უფლება. შედეგად, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ამომრჩეველთა სიების სიზუსტე.

ოქტომბერში გამოქვეყნებული ამომრჩეველთა წინასწარი სიები მნიშვნელოვან უზუსტობებსა და შეცდომებს შეიცავდა. მთელ რიგ ოლქებში რეგისტრირებულ

<sup>9</sup> 1999 წელს, საოლქო საარჩევნო კომისიებმა რეგისტრაციაზე უარი უთხრეს 478 კანდიდატს

<sup>10</sup> შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეაგროვა მონაცემები დაახლოებით 1,8 მილიონი ამომრჩეველის შესახებ. თავდაპირველად, თბილისის ამომრჩეველთა სიები ძველმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეადგინა.

ამომრჩეველთა რაოდენობა დიდად განსხვავდებოდა წინა არჩევნების დროს დაფიქსირებული რიცხვისაგან. განსაკუთრებით პრობლემური იყო თბილისის სიები, რომლებიც ძველმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოამზადა: ათი ოლქიდან ხუთში ამომრჩეველთა რაოდენობა 50%-ზე მეტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ბევრი ამომრჩევლის გვარის გასწვრივ არ იყო მითითებული მისამართი და მრავალი ამომრჩეველი არ იყო მიწერილი რომელიმე საარჩევნო უბანზე. უზუსტო სიები შეშფოთებას იწვევდა არამხოლოდ იმიტომ, რომ შეცდომების გამო საარჩევნო უფლებების მქონე ბევრ მოქალაქეს ეს უფლება წაერთმეოდა, არამედ იმიტომაც, რომ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის შემცირებას ან გაზრდას შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა მაჟორიტარული არჩევნების ჩატარებულად ცნობისათვის საჭირო მონაწილეთა რიცხვზე. მეტიც, ამომრჩეველთა სიებში არსებული სერიოზული შეუსაბამობები ზრდიდა არჩევნების გაყალბების შესაძლებლობას.

განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო ამომრჩეველთა რაოდენობის ზრდა 22%-ით ქვემო ქართლში, რადაგანაც ამ რეგიონში წარსულში სერიოზულ საარჩევნო დარღვევებს ჰქონდა ადგილი. ამის საპირისპიროდ, იმერეთისა და გურიის რეგიონებმა „დაკარგეს“ შესაბამისად ამომრჩეველთა 27% და 23% (2002 წელთან შედარებით). ასეთი აუხსნელი შემცირება განსაკუთრებით საგრძნობი იყო ქუთაისში, საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქში, სადაც სიებიდან გაქრა ამომრჩეველთა 38%. აღსანიშნავია, რომ ეს რიცხვები დიდად განსხვავდება 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემებისაგან.

ამომრჩეველთა სიებში შენიშნული შეცდომები მოიცავდა: მთელი კორპუსებისა და ქუჩების გამოტოვებას; ამომრჩეველთა ჩაწერას სხვა ოლქის სიაში; მრავალი გარდაცვლილი ადამიანის შეყვანას სიებში; ერთი და იმავე პირის სიაში ორჯერ შეყვანის მრავალ შემთხვევას. მიუხედავად ამოცანის სირთულისა, ბევრი საუბნო საარჩევნო კომისია კეთილსინდისიერად ცდილობდა შეცდომების გასწორებას. თუმცა, ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ მიაწოდა საუბნო საარჩევნო კომისიებს ამომრჩეველთა სიები, ხოლო ბევრმა საუბნო საარჩევნო კომისიამ, როგორც ჩანს, არ იცოდა რეგისტრაციის ახალი პროცედურები და არასწორ მეთოდებს იყენებდა. მრავალმა კომისიამ ვერ შეძლო სიების გამოკვრა სისტემატურად და მოხერხებულად, ხოლო ეთნიკური უმცირესობების მრავალ წარმომადგენელს არ შეეძლო ქართულად შედგენილი სიების წაკითხვა. იყო სხვა პრობლემებიც: თბილისში არსებობდა გარდაცვლილთა 2250 გვერდიანი სია, რომლის გამოყენებაც შეუძლებელი იყო, რადგანაც ის არ იყო დაყოფილი ოლქების ან უბნების მიხედვით; იძულებით გადაადგილებული პირები სიებში უსისტემოდ შეჰყავდათ; ამომრჩეველთა საკმაოდ დიდ რაოდენობას არ ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია გახდა ყველაზე უფრო საკამათო საარჩევნო საკითხი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები ჰქონდა. ოპოზიციური პარტიები მკვეთრ პრეტენზიებს გამოთქვამდნენ ამ საკითხთან დაკავშირებით და ვარაუდობდნენ, რომ ეს ნაკლოვანებები პოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული, რადგანაც ყველაზე მეტად დაზარადა ის ოლქები, სადაც ისინი არჩევნებისას დიდ მხარდაჭერას ელოდნენ. თუმცა, პარტიების მონაწილეობამ ამომრჩეველთა სიების გადამოწმებაში დიდად ვერ შეუწყო ხელი მათ გაუმჯობესებას. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა პარტიების თხოვნა შეეცვალა ოფიციალური მონაცემები მათი აქტივისტების მიერ შეგროვებული მონაცემებით.

19 ოქტომბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა გაეგრძელებინა სიების შესწორების ვადა 26 ოქტომბრამდე და გადაეწია ამომრჩეველთა სიების დაბეჭდვის საბოლოო ვადა 28 ოქტომბრისათვის. ამ გადაწყვეტილებამ არ დატოვა საკმარისი დრო არჩევნებამდე შესწორებების გასათვალისწინებლად. 26 ოქტომბერს,

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოულოდნელად გადაწყვიტა საერთოდ შეეწყვიტა მონაცემთა ცენტრალურ ბაზაზე მუშაობა, რითაც მან უარი თქვა მცდელობაზე გაეუმჯობესებინა ამომრჩეველთა სიების სიზუსტე და გამჭვირვალობა. საუბნო საარჩევნო კომისიებს ნება დაერთოთ გამოეყენებინათ ხელნაწერი ან კომპიუტერიზებული სიები. ამ გადაწყვეტილებამ მკვეთრად შეცვალა ამომრჩეველთა რეგისტრაციის ჩარჩო და შედეგად საერთოდ არ არსებობდა ერთგვაროვნება გამოეყენებულ სიების თვალსაზრისით.

აჭარის ხელისუფლებამ გადაწყვიტა თავად შეედგინა ამომრჩეველთა სიები ავტონომიური რესპუბლიკისათვის და მეთოდი, რომელიც მათ გამოიყენეს, განსხვავდებოდა საქართველოს სხვა ნაწილებში გამოყენებული მეთოდისაგან. მათ არ მიუწოდებიათ მონაცემები ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის, ხოლო კანონით დადგენილი საბოლოო ვადები უგულვებლყოფილ იქნა. მიუხედავად არაერთი თხოვნისა, დამკვირვებლებს აჭარის ხელისუფლებასთან შეხვედრისა და ამომრჩეველთა რეგისტრაციის საკითხების შესახებ საუბრის საშუალება მხოლოდ არჩევნების დღემდე მცირე ხნით ადრე მიეცათ. აჭარაში ამომრჩეველთა რიცხვის გამოცხადების დაყოვნებამ სერიოზულად ავნო გამჭვირვალობას და მონაცემები რეალურად არ გადამოწმებულა. აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტრო ამტკიცებდა, რომ მან დაახლოებით 289 000 ამომრჩეველი აღრიცხა, რაც 22%-ით მეტია 2000 წლის მონაცემებთან შედარებით.

საგარეო საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ მაცხოვრებელი მოქალაქეების რეგისტრაციასა და საზღვარგარეთ ხმის მიცემის ორგანიზებაზე. წარსულში, მხოლოდ დიპლომატიურ მისიებში აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეებს ჰქონდათ უფლება გაეგლოთ რეგისტრაცია, როგორც საზღვარგარეთ ხმის მიცემ ამომრჩეველებს. ახალმა პროცედურებმა საშუალება მისცა მოქალაქეებს რეგისტრაცია გაეგლოთ საზღვარგარეთ ხმის მისაცემად არჩევნებამდე არაუგვიანეს 21 დღისა და ამისათვის მათ არ მოეთხოვებოდათ დიპლომატიურ მისიაში აღრიცხვაზე ყოფნა. თუმცა, საბოლოო ვადა გადაწყველ იქნა 20 ოქტომბრამდე. საგარეო საქმეთა სამინისტრო არ მოელოდა, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა საზღვარგარეთ საგრძნობლად გაიზრდებოდა. თუმცა, მოულოდნელად, მათი რიცხვი, რომელიც სექტემბრის შუაში 20 000 იყო, 15 ოქტომბრისათვის გაიზარდა 40 000-მდე, ხოლო 20 ოქტომბრისათვის კი 80 000-მდე. წინა არჩევნების დროს, საზღვარგარეთ დაახლოებით 30 000 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული.

## VI. საარჩევნო კამპანია

ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ კამპანია არჩევნების დანიშნვიდან მალე დაიწყო. თუმცა, კამპანიის ოფიციალური პერიოდი საკმაოდ ხანმოკლე იყო, რადგანც ის მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ პარტიული სიების რეგისტრაციის შემდეგ დაიწყო. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, დაძაბულობამ იმატა და კამპანიის ტონი ანტაგონისტური გახდა, განსაკუთრებით, ერთი მხრივ, ბლოკ „ახალი საქართველოსთვის“ და, მეორე მხრივ, ბურჯანაძე-დემოკრატებსა და ნაციონალურ მოძრაობას შორის.

ოპოზიციური პარტიების კამპანიები, როგორც წესი, ფოკუსირებული იყო უშუალოდ არჩევნებზე და მათ ზოგად დამოკიდებულებაზე მთავრობის მიმართ და არა ამომრჩეველებისათვის საკუთარი პლატფორმის შინაარსის წარდგენაზე. აჭარაში კამპანიის დონისძიებების ძალზედ მცირე რაოდენობა გაიმართა. თუმცა, პლაკატებს ლოზუნგით „აჭარა აბაშიძის გარეშე“ სისტემატურად ხსნიდნენ სხვადასხვა ადგილებიდან ან აზიანებდნენ და ზოგჯერ ამას ადგილობრივი ხელისუფლების

წარმომადგენლები აკეთებდნენ. საქართველოს სხვა ნაწილებში სხვადასხვა სახის პლაკატები იყო გამოფენილი.

დამკვირვებელთა შეფასებით, საარჩევნო ოლქების უმეტეს ნაწილში სიტყვის თავისუფლება და მშვიდობიანი თავშეყრის უფლება დაცული იყო. კამპანიის მრავალი შეხვედრა მშვიდობიანად ჩატარდა და კანდიდატებს, ზოგადად, საშუალება ჰქონდათ შეუფერხებლად წარემართათ კამპანია ქვეყნის უმეტეს ნაწილში, თუმცა დამკვირვებლებმა დააიფიქსირეს ექვსი შემთხვევა, როდესაც ადგილი ჰქონდა კამპანიის ღონისძიებებისათვის ხელის შეშლას. ამავე დროს, წინასაარჩევნო პერიოდს დადი დაასვა ძალადობის ორმა შემთხვევა: ბოლნისში (ქვემო ქართლი), 26 სექტემბერს და ბათუმში (აჭარა), 23 ოქტომბერს. ორივე შემთხვევას ადგილი ჰქონდა ნაციონალური მოძრაობის მიტინგების დროს. საარჩევნო დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლები შეესწრნენ ორივე ინციდენტს და აღინშნეს, რომ წესრიგის დამცველთა მოქმედება არ იყო პოლიტიკურად ნეიტრალური და რომ პარტიის მომხრეების მიმართ ძალადობას ჰქონდა ადგილი. აჭარაში თავს დაესხნენ პარტიის ლიდერებსა და კანდიდატებს, დაარბიეს პარტიის ოფისი, ჟურნალისტებს ძალის გამოყენებით ჩამოართვეს აპარატურა და დაწვეს კამპანიის მასალები. დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ბოლნისში მომხდარი ინციდენტები ნაწილობრივ მაინც იმართებოდა ადგილობრივი გამგებლისა<sup>11</sup> და პოლიციის მიერ, რომლებიც დაუსჯელად მოქმედებდნენ. ორივე შემთხვევაში უხეშად იქნა ხელყოფილი მშვიდობიანი თავშეყრის თავისუფლება.

წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, მასმედია ავრცელებდა ინფორმაციას სხვადასხვა პარტიების ოფისებზე თავდასხმის შესახებ. თუმცა, საარჩევნო დამკვირვებელთა მისიის მეთვალყურეთა მოხსენებების თანახმად, ან მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ინციდენტების სერიოზულობის თაობაზე იყო გაზვიადებული, ან არ იყო საკმარისი ინფორმაცია მოვლენების დასადასტურებლად. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო გარემო ზოგადად მშვიდი იყო, მთელ რიგ ოლქებში განვითარებულმა მოვლენებმა სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. 29 ოქტომბერს, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრეს კანდიდატი ნაძალადევიში (თბილისი), ხოლო ვანში დამკვირვებლებმა ადგილობრივი კამპანიის აქტივისტების დაშინების ფაქტი დააფიქსირეს. მონახულებული ოლქების უმეტეს ნაწილში (39 ოლქში 74-დან) დამკვირვებლებმა მიიღეს სარწმუნო ინფორმაცია, რომ ამომრჩევლები, პარტიების მხარდამჭერები და საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები განიცდიდნენ ზეწოლას, რათა ხმა მიეცათ ხელისუფლების მომხრე კანდიდატებისათვის. შვიდ ოლქში დამკვირვებლებმა გადამოწმების შედეგად დაადგინეს, რომ ასეთი ინფორმაცია სარწმუნო იყო ან რომ მას მრავალი წყარო ადასტურებდა.

დამკვირვებელთა მოხსენებების თანახმად, სახელმწიფო მოხელეები, განსაკუთრებით გამგებლები, არ იყვნენ პოლიტიკურად ნეიტრალური და ბევრი მათგანი აშკარად მხარს უჭერდა ბლოკს „ახალი საქართველოსთვის.“ ეს იყო კანონის დარღვევა (73-ე მუხლი, მე-5 პუნქტი), ხოლო ზოგიერთი მათგანი ბლოკ „ახალი საქართველოსთვის“ საარჩევნო კამპანიასაც კი ხელმძღვანელობდა. ოლქების თითქმის ნახევარში (35 ოლქში), დამკვირვებელთა მოხსენებების თანახმად, სახელმწიფო ქონება არადანიშნულებისამებრ გამოიყენებოდა საარჩევნო კამპანიისათვის, უმეტესწილად ბლოკ „ახალი საქართველოსთვის“ სასარგებლოდ. მაგალითად, 26 ოლქში, დამკვირვებელთა მოხსენებების თანახმად, სახელმწიფო დაწესებულებებში განთავსებული იყო საარჩევნო შტაბები, რომელთაგან 20 ეკუთვნოდა ბლოკს „ახალი საქართველოსთვის.“ ხშირად, სხვადასხვა პარტიის კამპანიის მასალები საჯარო

<sup>11</sup> რაიონის გამგებლები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ რაიონის საკრებულოს შემადგენლობიდან.

შენობებში იყო განთავსებული, აგრეთვე ისეთ ადგილებში, სადაც ეს აკრძალულია. გარდა ამისა, რამოდენიმე შემთხვევაში, საარჩევნო დამკვირვებელთა მისიას აცნობეს ამომრჩეველთა მოსყიდვის შესახებ. ეს ნაკლოვანებები ქმნიდა არათანაბარ პირობებს არჩევნების მონაწილეთათვის, ძირს უთხრიდა კამპანიის სამართლიანობას და სერიოზულად აყენებდა ეჭვქვეშ პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურების გამიჯნვას. ამ თვალსაზრისით, არჩევნები არ შეესაბამებოდა ეუთო-ს წინაშე აღებული ვალდებულებებსა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს.

## VII. მედია

თბილისში მასობრივი ინფორმაციის მრავალი ბეჭდვითი და ელექტრონული საშუალება მუშაობდა, მეტწილად მთავრობის მხრიდან უკანონო ჩარევის გარეშე. დამოუკიდებელი ტელეარხები თანდათანობით ცვლიან სახელმწიფო მედიას, როგორც ინფორმაციის ძირითად წყაროს. ინფორმაციის შინაარსი ხშირად იყო კრიტიკული მთავრობის მიმართ. თბილისის ფარგლებს გარეთ მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი ადგილობრივი საშუალების ოფისში წინასაარჩევნო პერიოდში ხანძარი გაჩნდა ან ადგილი ჰქონდა ძარცვას, ხოლო ზოგიერთი ადგილობრივი ჟურნალისტი საუბრობდა მათ საქმიანობაზე ირიბი ან პირდაპირი ზეწოლის შესახებ.

მართალია საქართველოში რამოდენიმე ათეული ტელეარხი მოქმედებდა, მაგრამ მათი უმეტესი ნაწილის მაუწყებლობის გეოგრაფიული არეალი და აუდიტორია ძალზედ შეზღუდული იყო. მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი პირველი არხის, *რუთაი 2-ს* და ახლადდაფუძნებული *იმედის* მაუწყებლობა ვრცელდება ქვეყნის მთელ ან თითქმის მთელ ტერიტორიაზე. ტელეკომპანია *მზე* და მე-9 არხი მაუწყებლობენ თბილისში, ხოლო აჭარის ტელევიზია (რომელიც აჭარის ხელისუფლების მიერ არის დაფუძნებული) და 25-ე არხი - ძირითადად აჭარაში. საქართველოში ჯერაც განსახორციელებელია სახელმწიფო მედიის რეფორმა და დასამკვიდრებელია საზოგადოებრივი მაუწყებლობის პრინციპები.

### ა. მედიის რეგულირება საარჩევნო კამპანიის დროს

ზოგადად, საკანონმდებლო ჩარჩო მედიას საკმარის თავისუფლებას ანიჭებდა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ გაეშუქებინა კამპანია და საარჩევნო საკითხები. თუმცა, შემოთვალისწინებდა ის, რომ პრეზიდენტის მიერ დანიშნული ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები სხვადასხვა დროს ამტკიცებდნენ, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა დაედგინა წესები, რომლებიც შეზღუდავდა მედიის თავისუფლებას და პარტიების უნარს, წარემართათ ეფექტიანი კამპანია. ერთიანი საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებდა ყველა პარტიისათვის უფასო საეთერო დროის გამოყოფას მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებში (ტელევიზია და რადიო). ეს იყო ორსაათიანი ბლოკი, რომელიც თანაბრად ნაწილდებოდა პარტიებს შორის 15 დღის მანძილზე. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაევადა კამპანიის რეგულირება სახელმწიფო და კერძო მედიაში. 15 სექტემბერს, ახლადდანიშნულმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, სხვა საკითხებთან ერთად, განისაზღვრა, რომ საარჩევნო კამპანიისათვის დათმობილი საეთერო დრო არ უნდა ყოფილიყო დღიური ფასიანი და უფასო საეთერო დროის 15%-ზე მეტი, ხოლო მედიას დაევადა, რომ ყოველკვირეულად წარედგინა ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის მონაცემები ფასიანი საეთერო დროისა და გადახდილი ტარიფების შესახებ.

## ბ. მედიის მონიტორინგი

9 სექტემბერს, საარჩევნო დამკვირვებელთა მისიამ დაიწყო შერჩეული ბჭდვითი და ელექტრონული მედიის პოლიტიკური და კამპანიასთან დაკავშირებული შინაარსის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი.<sup>12</sup> მთლიანობაში, მედია ელექტორატს სთავაზობდა პოლიტიკური მოსაზრებების ფართო სპექტრს, რაც საშუალებას აძლევდა ამომრჩევლებს ერთმანეთისათვის შეედარებინათ პარტიები და კანდიდატები და გაეკეთებინათ უფრო ინფორმირებული არჩევანი ხმის მიცემის დღეს. მედიაში დისკუსიის მთავარი საგანი თავად საარჩევნო პროცესი უფრო იყო, ვიდრე პარტიების პოლიტიკური პლატფორმები.

სახელმწიფო ტელევიზიამ შეასრულა კანონით დაკისრებული ვალდებულება გამოეყო უფასო საეთერო დრო ყველა პარტიისათვის. თუმცა, რადგანაც სატელევიზიო გამოსვლები საუკეთესო საეთერო დროს არ გადაიცემოდა, ეს არ იყო კამპანიის ეფექტიანი ფორუმი არჩევნების მონაწილეებისათვის.<sup>13</sup> აღსანიშნავია, რომ 1-ლი არხი ყველა საარჩევნო სუბიექტს ერთნაირად არ ეპყრობოდა, ვინაიდან პრეზიდენტს, მთავრობასა და ბლოკს „ახალი საქართველოსთვის“ პოლიტიკური საკითხებისადმი მიძღვნილი მთლიანი საეთერო დროის 71% დაუთმო. იმავე ჯგუფებს დაეთმო პოლიტიკისადმი მიძღვნილი საგაზეთო ფართის დაახლოებით 91% საქართველოს რესპუბლიკაში. 1-ლი არხი რეგულარულად გადასცემდა სიუჟეტს „ჩემი საქართველოსთვის“, რომელიც მთავრობის რეკლამას წარმოადგენდა და აღიქმებოდა, როგორც ბლოკ „ახალი საქართველოსთვის“ კამპანიის ნაწილი, თუმცა ოფიციალურად ასე გაფორმებული არ იყო. მიუხედავად ამისა, სხვა პარტიებს ჰქონდათ 1-ლ არხზე გამოსვლის საშუალება და მათ ჯამში საეთერო დროის 29% დაეთმო, რომელიც ზოგადად პოზიტიური ხასიათის ინფორმაციას მოიცავდა.

*იმედი* და *რუსთავი-2* უფრო გაწონასწორებული იყო. თუმცა, ეს უკანასკნელი აშკარად უპირატესობას ანიჭებდა ოპოზიციურ პარტიებს და კრიტიკულად აფასებდა პრეზიდენტს, მთავრობას, აღორძინებას და განსაკუთრებით ბლოკს „ახალი საქართველოსთვის.“ სექტემბერში, *იმედი* ახალ ამბებს ზოგადად ობიექტურად აშუქებდა, მაგრამ ოქტომბრის დასაწყისიდან მოყოლებული, მისი ყურადღების ცენტრში მოექცა ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“ (27%) და ბურჯანაძე-დემოკრატები (17%), ხოლო სხვა პარტიებს ყურადღება თითქმის აღარ ეთმობოდათ, გარდა ახალი მემარჯვენეებისა (11%). აღსანიშნავია, რომ ბურჯანაძე-დემოკრატების შესახებ გადაცემული ახალი ამბები ნეგატიურ ინფორმაციას შეიცავდა. აჭარის ტელევიზიის მიერ გადაცემული ახალი ამბები მოიცავდა ასლან აბაშიძისა და აღორძინების საქმიანობის ფართო და პატივისცემით აღსავსე გაშუქებას (პოლიტიკური საკითხებისადმი მიძღვნილი დროის 81%), ხოლო სხვა პოლიტიკური სუბიექტების შესახებ ნეგატიური ინფორმაცია გადაიცემოდა, განსაკუთრებით ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებაში (12%, მხოლოდ ნეგატიური ინფორმაცია). აჭარის მაცხოვრებლებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია სხვა წყაროებიდანაც.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მასობრივი ინფორმაციის მრავალი საშუალება მოქმედებდა ადგილობრივ დონეზე. თუმცა, ერთიან საარჩევნო კოდექსში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, ეხება თუ არა მედიის სფეროში არსებული წესები

<sup>12</sup> ყოველდღიურად ხორციელდებოდა ოთხი ტელეარხისა და ხუთი გაზეთის ანალიზი. ეს იყო ტელეარხები: 1-ლი არხი (8 საათი დღეში); *რუსთავი-2* (8 საათი დღეში); აჭარის ტელევიზია (ახალი ამბები) და *იმედი* (ახალი ამბები). გაზეთები: *საქართველოს რესპუბლიკა* (სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული); *ახალი თაობა* (კერძო); *რეზონანსი* (კერძო); *24 საათი* (კერძო); *ალია* (კერძო).

<sup>13</sup> გამოსვლები გადაიცემოდა 10 სთ - 12 სთ სამუშაო დღეებში და 15სთ 15წთ - 17სთ 15 წთ შაბათ-კვირას.

ადგილობრივ მედიას. შესაძლოა ამის შედეგი იყო ის, რომ ადგილობრივი მედია ყოველთვის არ აძლევდა მაჟორიტარ კანდიდატებს უფასო საეთერო დროს და დამკვირვებელთა შეფასებით, მხოლოდ მათი ნახევარი აკეთებდა ამას. დამკვირვებლებს არაერთხელ მოახსენეს, რომ ადგილობრივი მედია მიკერძოებული იყო ბლოკ „ახალი საქართველოსთვის“ სასრგებლოდ. 2 ნოემბრის შემდეგ, ორი სახელმწიფო ტელეარხი (1-ლი არხი და აჭარის ტელევიზია) პოლიტიკურ მოვლენებს მუდმივად მიკერძოებულად აშუქებდა. პირველმა არხმა არასწორად გააშუქა საარჩევნო დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიის არჩევნების შემდგომი პრესკონფერენცია, რადგანაც მის მიერ წარმოდგენილი სურათი გაცილებით უფრო პოზიტიური იყო, ვიდრე ის, რაც ითქვა პრესკონფერენციაზე და დაიწერა განცხადების ტექსტში.

მედია ფართოდ აშუქებდა არჩევნების შემდგომ დემონსტრაციებს, თუმცა ზოგჯერ მედიაში მიმდინარე პოლიტიკური დისკუსიების ტონი მკვეთრი და რადიკალური იყო. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი იყო აჭარის ტელევიზიით ახალი ამბების დროს გადმოცემული კლიპი, რომელიც მიხეილ სააკაშვილს ადოლფ ჰიტლერს ამსგავსებდა. 22 ნოემბრამდე, 1-ლი არხი ნეგატიურად აშუქებდა ოპოზიციის მიერ გამართულ დემონსტრაციებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს არხი აშკარად ემხრობოდა ხელისუფლებას, 18 ნოემბერს პრეზიდენტმა გააკრიტიკა 1-ლი არხი იმისათვის, რომ ის საკამრისად არ უჭერდა მხარს სახელმწიფოს. ამის საპასუხოდ, არხის ხელმძღვანელი გადადგა და განაცხადა, რომ სახელმწიფო ტელევიზია მხოლოდ მთავრობის ინტერესებს არ უნდა იცავდეს. *რუსთავი-2* მკაფიოდ უჭერდა მხარს ნაციონალური მოძრაობისა და ბურჯანაძე-დემოკრატების პოლიტიკურ პოზიციას. გარდა ამისა, სასამართლომ არხს 128 000 აშშ დოლარის გადახდა დააკისრა, რადგანაც მან გადაწყვიტა, მიუხედავად გაფრთხილებისა, გაეგრძელებინა *კმარას* სარეკლამო რგოლების გადაცემა, რომლებიც კამათის საგანი გახდა. *იმედს* ოპოზიციისადმი კეთილგანწყობილი პოზიცია დემონსტრაციების კულმინაციამდე მცირე ხნით ადრე დაიკავა. აჭარის ტელევიზია განაგრძობდა მიკერძოებული და საგანგებოდ შერჩეული ინფორმაციის გადაცემას ოპოზიციის საწინააღმდეგოდ და აღორძინების სასარგებლოდ.

## VIII. ღაჰვაი, საჩივრები და სარჩევანი არჩევნების დღემდე

ერთიანი საარჩევნო კოდექსი მკაფიოდ და დამაკმაყოფილებელ პროცედურებს შეიცავდა საარჩევნო დავების მოსაგვარებლად. საჩივრების წარდგენა შეიძლებოდა როგორც საარჩევნო ადმინისტრაციაში, ისე სასამართლოებში. თუმცა, თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება აკვირვებდა გადასახალი საარჩევნო დავებში დამარცხებული მხარეებისაგან პრობლემატური იყო და შესაძლოა, რომ გადააფიქრებინა ზოგიერთს სასამართლოში საჩივრის შეტანა.<sup>14</sup>

არჩევნებამდე სასამართლოებმა არჩევნებთან დაკავშირებული დაახლოებით 50 საქმე განიხილეს, რომელთა უმეტესობა კანდიდატების რეგისტრაციასა და საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა დანიშნვას ეხებოდა. 14 სექტემბერს, თბილისის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა დანიშნვასთან დაკავშირებით. სხვა მოსაზრებებთან ერთად, მოსარჩელე ამტკიცებდა იმასაც, რომ პროცესი დარღვევით წარიმართა, რადგანაც გადაწყვეტილება კერძო მოლაპარაკებების შედეგად იქნა მიღებული და რომ 350 კანდიდატურიდან თითოეული ცალკე უნდა განხილულიყო. სასამართლომ მხარი

<sup>14</sup> ზოგიერთმა სასამართლომ 300 ლარი (დაახლოებით 150 აშშ დოლარი) გადაახდევინა დამარცხებულ მხარეებს სასამართლო მოსმენის ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც უჩვეულოა არჩევნებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისათვის.

დაუჭირა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებას და ამით აღიარა მისი უფლება ერთპიროვნულად განეხორციელებინა დანიშნვები.

სასამართლომ გააუქმა საოლქო საარჩევნო კომისიების ექვსი გადაწყვეტილება და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოთხი გადაწყვეტილება, რითაც საშუალება მისცა კანდიდატებს მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. ბლოკმა „ახალი საქართველოსთვის“ შეიტანა სამი საჩივარი და მოითხოვდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებების გაუქმებას, რათა არ მიეცა მეტოქე კანდიდატებისათვის არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. თავდაპირველად, უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა სამივე საჩივარი და რეგისტრაცია გაუშქმა კანდიდატებს ბოლნისში, ტყიბულსა და გარდაბანში. ამრიგად, ამ ოლქებიდან ორში მხოლოდ თითო კანდიდატი დარჩა და ორივე მათგანი წარმოადგენდა ბლოკს „ახალი საქართველოსთვის.“ პირველ ორ შემთხვევაში, ძირითადი მტკიცებულება იყო მოქალაქეთა წერილობითი განცხადებები, რომლებიც უარს ამბობდნენ საკუთარ ხელმოწერებზე კანდიდატების მხარდამჭერთა სიებში. მანამდე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა არ განეხილა ეს განცხადებები, რადგანაც რეალურად შესაძლებელი იყო, რომ ისინი ზეწოლის ქვეშ იყო დაწერილი და აგრეთვე იმის გამო, რომ მათი ნამდვილობა ეჭვს იწვევდა. მართლაც, მრავალი განცხადება ბოლნისში ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიიდან საკუთარი ხელმოწერის ამოღების შესახებ თითქმის იდენტური იყო. მოგვიანებით, ბოლნისსა და გარდაბანში კანდიდატებს რეგისტრაცია აღუდგინეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მცდელობის შედეგად.

სასამართლო განხილვების საკმაოდ მაღალი რიცხვი სასამართლო ხელისუფლებისადმი, განსაკუთრებით მისი მაღალი ეშელონებისადმი, ზოგადი ნდობის მაჩვენებელი იყო. საარჩევნო დამკვირვებელთა მისიამ მრავალი სასამართლო განხილვის მონიტორინგი განახორციელა. გარდა რამოდენიმე შემთხვევისა არჩევნების წინ, სასამართლო ხელისუფლება მოქმედებდა გამჭვირვალედ, ეფექტიანად და გულმოდგინედ და იცავდა დადგენილ ვადებს. თუმცა, სასამართლო ხელისუფლების მიერ არჩევნების გასაჩივრებული შედეგების განხილვა ნაკლებად პოზიტიური იყო, რაც იმის მანიშნებელია, რომ მისი, როგორც ინსტიტუტის, სიძლიერე შესაძლოა შეზღუდული იყოს.

## IX. ქალების მონაწილეობა

მიუხედავად პოლიტიკურ სფეროში მამაკაცების დომინირებისა, ქალებს მთელი რიგი თვალსაჩინო თანამდებობები უკავიათ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 2003 წლის დეკემბრამდე, ირინა სარიშვილი-ჭანტურია იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, ხოლო ბურჯანაძე-დემოკრატების საარჩევნო სია პარლამენტის სპიკერი ქალბატონის სახელს ატარებდა. მართალია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ქალი იყო, მაგრამ კომისიაში სხვა ქალი წევრი არ ყოფილა. საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა დაახლოებით 80% მამაკაცი იყო, თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნების 71% და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა 28% ქალი იყო. დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა დაახლოებით 45% იყო ქალი.

პარლამენტმა არ დაამტკიცა შესწორება, რომელიც საარჩევნო სიაში ქალების კვოტას დაადგენდა. ზოგადად, პარტიებმა ვერ შეძლეს ქალების საკმარისი რაოდენობის შეყვანა საკუთარ სიებში ან მათი წარდგენა, როგორც პარტიების კანდიდატებისა. 75 ოლქიდან 42-ში ქალი კანდიდატები არჩევნებში არ მონაწილეობდნენ.

## X. ეროვნული უმცირესობები

საქართველოში ორი მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობა ცხოვრობს: აზერბაიჯანელები (რომლებიც ქვემო ქართლში და კახეთის ზოგიერთ ნაწილში არიან კონცენტრირებულნი) და სომხები (კონცენტრირებულნი სამცხე-ჯავახეთში). გარდა ამისა, არის უფრო მცირერიცხოვანი ჯგუფები, მათ შორის რუსები, ოსები, იეზიდები, ბერძნები, ჩეჩნები და აფხაზები. ხშირ შემთხვევაში, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა ცუდად იციან ქართული ენა. ეს ქმნიდა დე ფაქტო ბარიერს საარჩევნო კომისიების მუშაობაში მათი სრულფასოვანი მონაწილეობის თვალსაზრისით და ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდიდა მათთვის არჩევნებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის კანონმდებლობას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის მიერ დაფინანსებულმა პროექტმა, რომლის მიზანი იყო საარჩევნო მასალების დამზადება აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

ბლოკმა „ახალი საქართველოსთვის“ ყველაზე უფრო გახსნილი მიდგომა აირჩია და მის რიგებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ყველაზე უფრო მეტი კანდიდატი იყო. რამოდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ აწარმოა კამპანია ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებს შორის და გაავრცელა კამპანიის მასალები აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე. თუმცა, არჩევნების წინ, დამკვირვებლებმა მიიღეს დეტალური და სარწმუნო ინფორმაცია, რომ ქვემო ქართლში ზოგიერთი აზერბაიჯანელი განიცდიდა დაშინებას ადგილობრივი ადმინისტრაციისა და პოლიციის მხრიდან. არჩევნების დღეს, დამკვირვებელთა მიერ აღნიშნული მრავალი დარღვევა მოხდა ქვემო ქართლში, სადაც არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი ხელოვნურად იყო გაზრდილი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელების იმ რაოდენობას, რომელიც ოფიციალური შედეგებში იყო ნაგულისხმევი, არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

## XI. სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი დამკვირვებლები

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ აკრედიტირებულ 45 ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციას შორის სხვებზე გაცილებით დიდი იყო სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, რომელსაც არჩევნების დღეს 2500 დამკვირვებელი ჰყავდა. „სამართლიანი არჩევნებისა“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) დამკვირვებლებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს პროცესის გამჭვირვალობის გაზრდაში საიმედო მეთოდოლოგიაზე დამყარებული ხმების ნაწილობრივი პარალელური დათვლის განხორციელების მეშვეობით. თუმცა, თავიანთი საქმიანობის შესრულებისას, ეს ორგანიზაციები წააწყდნენ სერიოზულ სირთულეებს, განსაკუთრებით აჭარაში, სადაც ერთი დამკვირვებელი დაპატიმრებულ იქნა მისი კანონიერი ფუნქციის შესრულებისას და დაკავებული იყო ერთი თვის მანძილზე. სხვა რეგიონებში (ტყიბული, ქვემო ქართლი), დამკვირვებლებს ხელს უშლიდნენ, ადგილი ჰქონდა დაშინებას და ძალადობის ერთ შემთხვევას. ადგილობრივი დამკვირვებლების მიერ შეგროვებული მასალები არჩევნების კანონიერების სასამართლოში გასაჩივრების საფუძველი გახდა.

ზოგიერთი სხვა თითქოს და არაპარტიული დამკვირვებელთა ჯგუფის მოტივაცია ძალზე საეჭვო იყო; მათ შორისაა „დიდი აბრეშუმის გზა“, აჭარის ხელისუფლების და „აღორძინების“ მიერ აკრედიტირებული ჯგუფები და ქვემო ქართლში მოქმედი ჯგუფები. მათი საქმიანობა იყო მიკერძოებული და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ის ხორციელდებოდა ნამდვილი დამკვირვებლების მუშაობისათვის ხელის შეშლის განზრახვით, რისთვისაც ხორციელდებოდა მათ მიერ მოპოვებული მასალების

საპირისპირო ინფორმაციის წარდგენა. არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიის მეთვალყურეებმა მოგვახსენეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი „ოქტიური“ დამკვირვებლების საქმიანობა აშინებდა ამომრჩევლებს, განსაკუთრებით, სამტრედიის ოლქში ხელახალი ხმის მიცემის დროს 16 ნოემბერს.

## XII. ხმის მიცემაზე, ხმების დათვლასა და შედეგების შეჯამებაზე დაკვირვება

### ა. საერთო შეფასება

დამკვირვებლებმა მასალები საქართველოს 1400-ზე მეტი საარჩევნო უბნიდან წარმოადგინეს. ზოგიერთ ადგილას არსებული მოუწესრიგებელი ვითარების მიუხედავად, არჩევნები ყველა 75 ოლქში ჩატარდა. თუმცა, ხმის მიცემის პროცესი ბევრგან არაორგანიზებული და ნელი იყო. მნიშვნელოვან დაგვიანებას ადგილი ჰქონდა ქუთაისში და თბილისის ზოგიერთ ნაწილში. აღნიშნულ იქნა მრავალი სახის ნაკლი და დარღვევა, მათ შორის არჩევნების სერიოზული გაყალბება არჩევნების დღეს და მოგვიანებით, განსაკუთრებით, შედეგების დათვლისა და შეჯამების დროს. არჩევნების აღმაშფოთებელმა გაყალბებამ აჭარაში, ქვემო კართლსა და რამდენიმე სხვა ოლქში მნიშვნელოვნად იმოქმედა არჩევნების შედეგებზე მთელი სახელმწიფოს მასშტაბით. მოხსენებათა თანახმად, საარჩევნო უბნების 19%-ში შეინიშნებოდა დაძაბულობა, 14%-ში - არეულობა და ადგილი ჰქონდა ძალადობის 37 შემთხვევას (3%). შინაგან საქმეთა სამინისტროს სწრაფი რეაგირების ქვედანაყოფები 4 ოლქში იყო მივლენილი.

დათვალიერებულ საარჩევნო უბანთა 19%-ში დამკვირვებლებმა საარჩევნო პროცესი შეაფასეს როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი.<sup>15</sup> ზოგადად, მათ მიერ არჩევნების შეფასება დღის განმავლობაში უფრო უარყოფითი ხდებოდა. მათი აზრი ხმების დათვლის ფაზის შესახებ გაცილებით უარესი იყო: უარყოფითი შეფასება 31% წარმოადგინა.<sup>16</sup> დამკვირვებლები შედეგების შეჯამებას 75-დან 42 საოლქო საარჩევნო კომისიაში აკვირდებოდნენ. დამკვირვებლებმა გვაცნობეს 16 საოლქო საარჩევნო კომისიაში (38%) შედეგების შეჯამების სიზუსტისადმი დაბალი ან ძალიან დაბალი ნდობის შესახებ.

### ბ. ხმის მიცემის პროცედურები

მრავალი საარჩევნო უბანი იყო ძალიან პატარა და განლაგებული იყო არასათანადო ადგილებში. საერთოდ, საუბნო საარჩევნო კომისიებს ჰქონდათ კანონმდებლობისა და სახელმძღვანელოების ეგზემპლარები და მათი უმეტესობა მუშაობდა გულმოდგინედ და თანამშრომლობის სხვებთან, რათა რთულ პირობებში წარმართული ხმის მიცემის პროცედურები სწორად განეხორციელებინათ. თუმცა, აშკარა იყო, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებს მეტი მომზადება უნდა მიეღოთ. იმ საარჩევნო უბანთა 14%-ში, სადაც მარკირება უნდა განხორციელებულიყო, ამომრჩევლებს, საარჩევნო ბიულეტენების მიღებამდე, მარკირების კვალის არსებობას არ უმოწმებდნენ; თუმცა, ხმის მიცემის შემდეგ, მარკირება სწორად ხორციელდებოდა (93%). საარჩევნო უბანთა 10%-ში არც ერთ ან თითქმის არც ერთ ამომრჩეველს არ წარუდგენია პირადობის დამადასტურებელი სათანადო საბუთები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საარჩევნო უბანთა 15%-ში არ იყო დაცული ხმის მიცემის საიდუმლოება და დამკვირვებლებმა გვაცნობეს ღია ხმის მიცემის, ცუდად

<sup>15</sup> საარჩევნო უბნების 13%-ში, დამკვირვებლებმა პროცესი შეაფასეს როგორც შესანიშნავი, 41%-ში როგორც კარგი და 27%-ში როგორც მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი.

<sup>16</sup> ფორმათა 22%-ში პროცესი დახასიათდა როგორც შესანიშნავი, 26%-ში როგორც კარგი და 21%-ში როგორც მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი.

განთავსებული საფარველის, ჯგუფური ხმის მიცემის და ამომრჩეველთა მიერ შევსებული ბიულეტენების სხევისათვის ჩვენების შემთხვევების შესახებ და აგრეთვე არასათანადო მომზადებული საარჩევნო კაბინების შესახებ. ეს ნაკლი, ნაწილობრივ, ერთიანი საარჩევნო კოდექსის ბრალია, რადგან, კანონის მიხედვით, ამომრჩეველი ვალდებული იყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის ეჩვენებინა შევსებული ბიულეტენის უკანა მხარე, რათა მათ დაემოწმებინათ საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმოწერების არსებობა (ბიულეტენის კონვერტში ჩადებად). ამ პრაქტიკამ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს საშუალება მისცა ენახათ, თუ ვის აძლევდა ხმას ამომრჩეველი. ზოგიერთ ოლქში (მაგალითად, სამტრედიაში), საუბნო საარჩევნო კომისიები არასწორად აღნიშნავდნენ კანდიდატებს, როგორც „მოხსნილ კანდიდატურებს“ მაშინ, როდესაც ეს ადამიანები არჩევნებში მონაწილეობდნენ.

სერიოზული დარღვევები იქნა შენიშნული არჩევნების დღეს, თუმცა საარჩევნო უბანთა შედარებით მცირე რიცხვში. მათ შორის:

- ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრის 11 შემთხვევა იქნა შენიშნული;
- ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრის მცდელობები -- 4 შენიშნული შემთხვევა და 23 ვარაუდი;
- ამომრჩეველთა ერთი საარჩევნო უბნიდან მეორეზე გადაყვანა -- 12 შენიშნული შემთხვევა და 11 ვარაუდი;
- წინასწარ შევსებული ბიულეტენების გამოყენება -- 6 შენიშნული შემთხვევა და 12 ვარაუდი.

სხვა ძირითად დარღვევებს შორის იყო: მრავალჯერადი ხმის მიცემა; საარჩევნო ყუთის განადგურება; ამომრჩეველებზე უკანონოდ გავლენის მოხდენის მცდელობა (უბანთა 8%); სხვის მიერ ხმის მიცემის დაშვება (5%) და საარჩევნო სიებში აშკარად იდენტიური ხელმოწერები (3%). ერთ შემთხვევაში, დამკვირვებლებმა დაინახეს, როგორ იქნა წართმეული საარჩევნო ყუთი იარაღის მუქარით. დარღვევებსა და ნაკლოვანებებს შორის იყო: საარჩევნო ყუთის უწყურადღებოდ მიტოვება (12%); საარჩევნო უბნების შიგნით დიდი რაოდენობით იმ პირების ყოფნა, ვიაც ამის უფლება არ ჰქონდა, მათ შორის პოლიციისა და ადგილობრივი მმართველობის თანამდებობის პირებისა (23%), რომელთა შორის ზოგიერთი ერეოდა პროცესში ან ხელმძღვანელობდა მას; კამპანიის მასალების საარჩევნო უბნებში შესამჩნევად აღილზე განთავსება (11%) და აქტიური აგიტირება (5%). სერიოზული გაყალბება განსაკუთრებით აშკარა იყო აჭარასა და ქვემო ქართლში, სადაც დამკვირვებლებმა საარჩევნო პროცესისადმი ძალიან დაბალი ნდობის შესახებ მოგვახსენეს.

ხმის მიცემის პროცესმა დაადასტურა, რომ საარჩევნო სიებში მრავალი და სერიოზული უზუსტობა იყო. დამკვირვებელთა ფორმების დაახლოებით 54%-ში მითითებულია, რომ ამომრჩეველებს არ მისცეს ხმის მიცემის უფლება. ამ საარჩევნო უბნებშიდან შემოსული ანგარიშების 10%-ზე მეტში მითითებულია, რომ 50-ზე მეტმა ამომრჩეველმა არჩევნებში მონაწილეობის მიღება ვერ შეძლო. ამ მხრივ, ძალზედ სერიოზული პრობლემები იქნა შენიშნული თბილისსა და ქუთაისში, საქართველოს ორ უდიდეს ქალაქში.

ერთსა და იმავე საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა სხვადასხვა სიების გამოყენებამ პროცესის გამჭვირვალობა დააქვეითა. დაბნეულობამ იმატა არჩევნების დღის მეორე ნახევარში ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის მიცემული არაოფიციალური განკარგულების შედეგად, რომელმაც ფაქტობრივად არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა არარეგისტრირებულ ამომრჩეველებს. თუმცა, ზოგიერთმა საუბნო საარჩევნო კომისიამ დირექტივის

მიღებამდე ამომრჩეველთა რეგისტრაცია უკვე თავად გადაწყვიტა.<sup>17</sup> პოლიციელთა მნიშვნელოვანი რაოდენობის საარჩევნო სიებში შეტანის შესახებ გადაწყვეტილებამ პარტიებისა და მოქალაქეების მხრიდან უნდობლობა გამოიწვია. ამ ფაქტორებმა გაართულა საუბნო საარჩევნო კომისიებს მიერ რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის დადგენა და შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეთა საერთო რაოდენობის დადგენაც, რამაც, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა მაჟორიტარული არჩევნების ჩატარებულად ცნობაზე. ზოგიერთ ოლქში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა მხოლოდ 2 ნოემბრის შემდგომ დადგინდა.<sup>18</sup>

## ბ. ხმების დათვლა

დამკვირვებლები დაესწრნენ ხმების დათვლას 148 საარჩევნო უბანში და შეგვატყობინეს, რომ პროცესი ხშირად არაორგანიზებული და კონფლიქტური იყო: დამკვირვებლებმა მოგვახსენეს არეულობის შესახებ 29 საარჩევნო უბანში (20%), ხოლო დამკვირვებელთა 32%-მა მოგვახსენა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს შორის კამათის და ძალადობის რვა შემთხვევის შესახებ. დათვალიერებული საარჩევნო უბნების თითქმის ნახევარში სამივე სახის საარჩევნო ბიულეტენების დათვლა ერთდროულად მიმდინარეობდა, რაც გაუგებრობას იწვევდა და ამცირებდა გამჭვირვალობას.

საკმაოდ ბევრმა საუბნო საარჩევნო კომისიამ ვერ შეძლო დათვლის სწორი პროცედურების განხორციელება: 9%-მა ვერ დაადგინა ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ყუთის გახსნამდე; 13%-მა არ დაადგინა გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა და არ დალუქა ისინი საარჩევნო ყუთის გახსნამდე; 27%-მა არ შეამოწმა ბიულეტენების შემცველ კონვერტებზე დასამოწმებელი ბეჭდებისა და ხელმოწერების არსებობა. სხვა ნაკლოვანებებს შორის იყო საარჩევნო ყუთში კონვერტების საერთო რაოდენობის არდათვლა (45%), კონვერტებში მყოფი ყოველი ტიპის ბიულეტენების რაოდენობის არგამოცხადება (48%), საარჩევნო ბიულეტენებზე ხელმოწერების შეუმოწმებლობა (33%) და კონვერტების გარეშე აღმოჩენილი ბიულეტენების ბათილად არჩათვლა (39%). საარჩევნო უბანთა 21%-ში ბიულეტენების ნამდვილად ან ბათილად ცნობა არათანამიმდევრული იყო.

დამკვირვებლებმა მოგვახსენეს დათვლის დროს ჩადენილი საკმაოდ ბევრი სერიოზული დარღვევის შესახებ (დათვალიერებული საარჩევნო უბნების 19%), მათ შორის ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრის 6 შემთხვევის შესახებ. დათვალიერებული საარჩევნო უბნების 36%-ში ხმების დათვლის პროცესს ესწრებოდნენ პირები, რომლებსაც ამის უფლება არ ჰქონდათ. ისინი ხშირად ერეოდნენ პროცესში. მრავალ საუბნო საარჩევნო კომისიას გაუძნელდა რთული ოქმების შევსება. უმეტეს შემთხვევებში, საუბნო საარჩევნო კომისიებმა არ გამოაკრეს საჯაროდ არჩევნების შედეგები, როგორც ეს კანონით არის გათვალისწინებული. 21 საარჩევნო უბანზე (დათვალიერებულ უბანთა 15%) დამკვირვებლებს მუშაობაში ხელს უშლიდნენ.

## დ. შედეგების შეჯამება და გამოცხადება

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ ინფორმაცია გამოაცხადა 12:00, 17:00 და 19:00 საათზე. ზოგიერთ შემთხვევაში, მონაცემები არადაზღვერებელი იყო. მაგალითად, ხელვაჩაურში, მონაცემები ამომრჩეველთა 17:00 და 19:00 საათს შორის აქტივობის შესახებ აჩვენებდა, რომ ოლქის ყველა საუბნო საარჩევნო კომისია თითო ამომრჩეველს 10 წამში ემსახურებოდა, ხოლო მცხეთასა და გარდაბანში მიღებული მონაცემების თანახმად, 19:00 და 20:00 საათს შორის, საუბნო

<sup>17</sup> დაფიქსირებულია დათვალიერებული საარჩევნო უბნების 13%-ში.

<sup>18</sup> ცენტრალური საარჩევნო კომისიის 20 ნოემბრის ოფიციალური შედეგების მიხედვით, რეგისტრაცია დაახლოებით 3,2 მილიონმა ამომრჩეველმა გაიარა.

საარჩევნო კომისიები თითო ამომრჩეველს 9 წამში ემსახურებოდნენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, 195 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა აქტივობა 100% იყო. ტყიბულში თავიდან ამომრჩეველთა აქტივობა დაფიქსირდა, როგორც 74%, ხოლო შემდგომში, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, შეიცვალა და შეადგინა 94%.

ოლქების უმეტეს ნაწილში, საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ, დამკვირვებლები თვალყურს ადევნებდნენ შედეგების წინასწარ შეჯამებას საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისია თავის საქმიანობას კანონის შესაბამისად ახორციელებდა, ძალზე ხშირად, პროცესი იყო დაძაბული და არაორგანიზებული, არ იყო გამჭვირვალე და ხშირად სერიოზული ნაკლოვანებები შეინიშნებოდა. იმ 42 საოლქო საარჩევნო კომისიიდან, სადაც დაკვირვება წარმოებდა, 12-მა უარი თქვა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინსტრუქციის შესრულებაზე, რომლის თანახმადაც მათ ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის უნდა მიეწოდებინათ მონაცემები თითოეულ საარჩევნო უბანში არჩევნების შედეგების შესახებ. საოლქო საარჩევნო კომისიების უმეტეს ნაწილში, დამკვირვებლებმა ვერ მიიღეს მათი საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის მონაცემები შედეგების შესახებ.

არჩევნების შემდეგ, გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის თვალყურის დევნება განაგრძეს. მათ მიერ არჩევნების შედეგების შეჯამების შეფასება კიდევ უფრო მეტად უარყოფითი იყო, ვიდრე მოკლევადიანი დამკვირვებლების შეფასება. მრავალმა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიამ უბრალოდ უგულვებელყო ერთიანი საარჩევნო კოდექსი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ისინი პირდაპირ იყვნენ ჩართულნი არჩევნების შედეგებით მანიპულირებაში. შემჩნეული სერიოზული ნაკლოვანებების ნუსხა მოიცავს:

- საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების შევსებას ან შეცვლას საოლქო საარჩევნო კომისიების შენობებში და არა საარჩევნო უბანში, როგორც ეს კანონით არის დადგენილი (ტყიბული, წალენჯიხა, ისანი, წყალტუბო და სამტრედია) ან უბრალოდ უარის თქმას საოლქო საარჩევნო კომისიებში ოქმების მიტანაზე (ქუთაისი, ვანი);
- ოქმების გაყალბებას როგორც მაჟორიტარული ისე პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, ზოგჯერ უზომოდ გაბერილი ამომრჩეველთა აქტივობის რიცხვებით (გარდაბანი, მარნეული, ხელვაჩაური და ბათუმი), ერთი და იმავე საარჩევნო უბნებისათვის განსხვავებული ოქმების არსებობას სხვადასხვა შედეგებით (ნაძალადევი და ვანი), საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შეუვსებელ ოქმებზე ხელის მოწერას (მარნეული, ვანი და დუშეთი) და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების მიღებას, რომლებზეც არ იყო ხელმოწერები და ბეჭედი (ხელვაჩაური);
- საარჩევნო მასალების დალუქვისა და მათი უსაფრთხო ადგილას შენახვის წესის დარღვევას (გლდანი, ბაღდათი, ქუთაისი, ლანჩხუთი, ბათუმი, ქობულეთი და ხულო);
- საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში იმ პირების ყოფნას, ვისაც ამის უფლება არ ჰქონდა, მათ შორის პოლიციის თანამშრომლებისა, რომლებმაც რამოდენიმე შემთხვევაში გაველნა მოახდინეს საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობაზე (გურჯაანი, დედოფლისწყარო, დუშეთი, წალკა, ჭიათურა და ზუგდიდი), საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობაში გამგებლის ჩარევას (სამგორი, მთლიანად ქვემო ქართლი და ხაშური) და საოლქო საარჩევნო კომისიის და დამკვირვებლების დაშინების სერიოზულ შემთხვევებს (რუსთავი);
- საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებლის დაწევას არჩევნების დღის მერე, რათა პირველ ადგილზე მყოფ კანდიდატს თავიდან აეცილებინა მეორე ტური (ლიახვი); საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ

პირველ ადგილზე გასული კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის მომატებას მეორე ტურის თავიდან ასაცილებლად (ლაგოდეხი); საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგებით მანიპულირების მცდელობას ცალკეული საარჩევნო უბნებიდან მიღებული შედეგების გაუქმების გზით, რაც მიზნად ისახავდა მეორე ადგილზე გასული კანდიდატისა და შესაბამისად, მეორე ტურის მონაწილეთა შეცვლას (მთაწმინდა და ასპინძა);

- არჩევნებთან დაკავშირებული ოფიციალური საჩივრების იგნორირებას (ბოლნისი, სამგორი, რუსთავი, მარნეული, გარდაბანი, ხაშური და მთაწმინდა);
- არაკეთილსინდისიერად შევსებული ბიულეტენების მიღებას (სამგორში, სადაც გადათვლამ გამოავლინა არაკეთილსინდისიერად შევსებული ბიულეტენები, რომლებიც მაინც იქნა ჩათვლილი შედეგებში), დამკვირვებლებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებას შემოსული საჩივრებისა და სასამართლოში საქმის გასაჩივრების შემთხვევების რიცხვის შესახებ (აბაშა), შედეგების განსახილველად მოლაპარაკების გზით და არა ოქმებზე დაყრდნობით (სამგორი და ქუთაისი);
- იმ ფაქტს, რომ ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ არ გამოაკრა საჯაროდ ოქმები, როგორც ამას კანონი მოითხოვს;
- იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ განლაგებულმა 18-მა საუბნო საარჩევნო კომისიამ არ მიაწოდა ოქმების დენები საოლქო საარჩევნო კომისიას.

### ეგზიტ პოლები, ხმების პარალელური დათვლა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი შედეგები

ეგზიტ პოლები ორმა ორგანიზაციამ ჩაატარა. მათ 20 000-ზე მეტ ამომრჩეველს ჰკითხეს საარჩევნო უბნის დატოვებისას, თუ ვის მისცეს ხმა. ამ გამოკითხვების შედეგები გამოქვეყნდა არჩევნების დამეს ან ცოტა მოგვიანებით. როგორც „სამართლიანი არჩევნების“ მიერ ჩატარებულმა ხმების პარალელურმა დათვლამ, ისე ეგზიტ პოლებმა, აჩვენა, რომ ნაციონალური მოძრაობა ბევრად უსწრებდა მეორე ადგილზე მყოფ ბლოკს „ახალი საქართველოსთვის“, რომელიც, თავის მხრივ, მცირედით უსწრებდა მესამე ადგილზე გასულ ლეიბორისტულ პარტიას. ამ წყაროების მიხედვით, 7%-ანი ბარიერი ასევე გადალახეს ბურჯანაძე-დემოკრატებმა, აღორძინებამ და ახალმა მემარჯვენებმა.

3 ნოემბრის ადრეულ დილას, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო არაოფიციალური წინასწარი შედეგების გამოქვეყნება საკუთარ ინტერნეტ-გვერდზე. თუმცა, კომისია აღარ ცდილობდა ამ შედეგების დაფუძნებას საარჩევნო უბნების ოქმების დენებზე. ამის ნაცვლად, შედეგები საოლქო საარჩევნო კომისიების სიტყვიერ მოხსენებებს ემყარებოდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არაოფიციალური წინასწარი შედეგების გამოქვეყნება მისასაღებელი სიახლე იყო. მან აჩვენა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების ოფიციალური შედეგები სერიოზულად განსხვავდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგებისაგან, რომლებსაც ისინი თითქოსდა ეყრდნობოდა (18 შემთხვევა). რამოდენიმე შემთხვევაში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული შედეგები ეწინააღმდეგებოდა შედეგებს, რომლებიც საერთაშორისო დამკვირვებლებმა არჩევნების დამეს ჩაინიშნეს.

აღსანიშნავია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა მონაცემებისაგან და ბლოკს „ახალი საქართველოსთვის“ ნაციონალურ მოძრაობაზე წინ აყენებდა. როდესაც საბოლოოდ არსებულ შედეგებს აჭარის მონაცემები დაემატა, აღორძინებამ ნაციონალურ მოძრაობას გადაასწრო და მეორე ადგილი დაიკავა.

13 ნოემბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო, რომლის თანახმადაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა განისაზღვრა, როგორც ნამდვილი ბიულეტენების რიცხვის ტოლი, ხოლო შემდეგ კომისიამ აიღო ეს რიცხვი, როგორც 7% ბარიერის გამოთვლის საფუძველი. უნდა აღინიშნოს, რომ ამომრჩეველთა მონაწილეობის (აქტივობის) რიცხვი და ის რიცხვი, რომლის საფუძველზეც 7%-ანი ბარიერი დაანგარიშდება (ხმები), არ არის ერთი და იგივე. იმავე დღეს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 54 ოლქში მავორიტარული არჩევნების შედეგები გამოაცხადა.

16 ნოემბერს კენჭისყრა ჩატარდა სამტრედიის ოთხ და წალენჯიხის ერთ საარჩევნო უბანში. დამკვირვებლები თვალყურს ადევნებდნენ კენჭისყრას სამტრედიაში, სადაც 2 ნოემბერს გაიტაცეს საარჩევნო ყუთი და მათ მოგვახსენეს მთელი რიგი ნაკლოვანებებისა და დარღვევების შესახებ, მათ შორის: ამომრჩევლების დაშინება; საერთაშორისო დამკვირვებლებისათვის გადასატანი ყუთის მეშვეობით ხმის მიცემისათვის თვალყურის დევნებაში ხელის შეშლა; პირადობის დამადასტურებელი დროებითი საბუთების ძალიან დიდი რაოდენობის გაცემა კენჭისყრამდე მცირე ხნით ადრე; ორგანიზაცია „დიდი აბრეშუმის გზის“ მიერ არჩევნებზე დიდი რაოდენობით „დამკვირვებლების“ მივლინება, რომელთა შორის ზოგიერთი ფარულად ატარებდა იარაღს და ერეოდა საარჩევნო პროცესში. თავდაპირველად, არჩევნების მეორე ტური და ხელახალი ხმის მიცემა საარჩევნო უბნებზე დაგეგმილი იყო 16 ნოემბრისათვის, მაგრამ მათი უმრავლესობა გადატანილ იქნა 23 ნოემბრისათვის, ზოგი კი 30 ნოემბრისთვის, რის გამოც მოხდა საარჩევნო პროცესის დანაწევრება. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მთლიანად გამოიყენა 18-დღიანი ვადა, ვიდრე არჩევნების საბოლოო ოფიციალურ შედეგებს გამოაცხადებდა 20 ნოემბერს. ამან შეამცირა გამჭვირვალობა და სულაც არ შეუწყო ხელი პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას. ქვემოთ მოცემულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური შედეგები და ხმების პარალელური დათვლის შედეგები:

პარტია / ბლოკი	ოფიციალური შედეგები %	ადგილი	პარალელური ხმების დათვლა %	ადგილი
„ახალი საქართველოსთვის“	21,32%	1	18,92%	2
დემოკრატიული აღორძინების კავშირი	18,84%	2	8,13%	5
ნაციონალური მოძრაობა	18,08%	3	26,60%	1
ლეიბორისტული პარტია	12,04%	4	17,36%	3
ბურჯანაძე-დემოკრატები	8,79%	5	10,15%	4
ახალი მემარჯვენეები	7,35%	6	7,99%	6
<b>7% ბარიერი</b>				
მრეწველობა საქართველოს	გადაარჩენს 6,17%	7	5,20%	7

არჩევნების საბოლოო შედეგების თანახმად, ამომრჩეველთა აქტივობა აჭარაში იყო 97%, რომელთაგან 96.7%-მა ხმა აღორძინებას მისცა. თუმცა, შედეგებით მანიპულირება და საეჭვო შედეგები სხვაგანაც იყო შემჩნეული. ხელოვნურად გაზრდილმა აქტივობის მაჩვენებელმა და ბოლკ „ახალი საქართველოსთვის“ და აღორძინებისათვის არაკეთილსინდისიერად შეგროვებულმა ხმებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ მდებარე ზოგიერთ საარჩევნო უბანში მიღებული შედეგები აბსოლუტურად დაუჯერებელი იყო. მუდმივად ხდებოდა მრეწველებისათვის მიცემული ხმების რაოდენობის გაზრდა. ლუგანსკის №48

საარჩევნო უბანში, თავდაპირველი შედეგების მიხედვით, ამ პარტიამ 1 ხმა მიიღო, ხოლო საბოლოო ოქმის მიხედვით, მან 1001 ხმა მოიპოვა.

### **XIII. არჩევნების დღის შემდგომი სასამართლო დავები, საჩივრები და საჩივრები**

როგორც საარჩევნო კომისიების წევრებმა, ისე პარტიების და კანდიდატების წარმომადგენლებმა და ადგილობრივმა დამკვირვებლებმა, მიმართეს კანონით განსაზღვრულ მექანიზმებს არჩევნების დღეს და შემდგომ მომხდარი დარღვევების გასასაჩივრებლად. მაგრამ საოლქო საარჩევნო კომისიებს არ სურდათ საჩივრების განხილვა და ამიტომ ბევრი მათგანი უგულებელყოფილ იქნა ან არ იქნა მიღებული ტექნიკური დეტალების გამო, ხოლო, რამოდენიმე შემთხვევაში, დაიკარგა დოკუმენტები. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 100-ზე მეტი საჩივარი და სარჩელი მიიღო, მაგრამ მათი განხილვა 13 ნოემბრამდე არ დაუწყია. მათი უმრავლესობა არ იქნა დაკმაყოფილებული, თუმცა, რამოდენიმე შემთხვევაში, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გააუქმა საოლქო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებები და მიიღო გადაწყვეტილება ბიულეტენების ხელახლა დათვლის შესახებ. მთლიანობაში, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საჩივრებისა და სარჩელების მოსმენისა და მათ თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ეფექტიანი და მიუკერძოებელი არ ყოფილა.

სასამართლო ხელისუფლება მეტად აქტიურად აწარმოებდა საქმეების მოსმენას და ხანდახან გვიანობამდე მუშაობდა, რათა საქმის განხილვა დადგენილ ვადებში მოესწრო. ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოებმა გაბედული გადაწყვეტილებები მიიღეს. მაგრამ დარღვევების დიდმა რაოდენობამ და შედეგად წარმოშობილმა საჩივრებმა გაართულა სასამართლოების მიერ თითოეული საქმის ეფექტიანად განხილვის შესაძლებლობა. ხშირად, სასამართლო ხელისუფლება ვერ ახერხებდა მკაფიო გადაწყვეტილების მიღებას განხილვის ქვეშ მყოფი საქმეების თაობაზე.<sup>19</sup> მაშინაც კი, როდესაც სასამართლოები აუქმებდნენ არჩევნების შედეგებს, საქმეები უბრალოდ უბრუნდებოდა საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასამოწმებლად. ეს განსაკუთრებით პრობლემატური იყო იმ შემთხვევებში, როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიები სრულიად უგულებელყოფდნენ კანონს. უმეტეს შემთხვევაში, როდესაც სასამართლო იღებდა გადაწყვეტილებას ხელახალი დათვლის შესახებ, საოლქო საარჩევნო კომისიები უბრალოდ ხელახლა აჯამებდნენ შედეგებს საეჭვო ოქმებზე დაყრდნობით.

### **XIV. არჩევნების შემდგომი მოვლენები**

უშუალოდ 2 ნოემბრის შემდეგ, ნაციონალური მოძრაობა და ბურჯანაძე-დემოკრატები ამტკიცებდნენ, რომ მათ არჩევნებში გაიმარჯვეს და საქართველოს მთავრობას არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდნენ. წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ, პოლიტიკური სიტუაცია კიდევ უფრო პოლარიზებული და ანტაგონისტური გახდა. 4 ნოემბრიდან მოყოლებული, ამ პარტიებმა თბილისში საპროტესტო დემონსტრაციების გამართვა დაიწყეს. თუმცა, ლეიბორისტულმა პარტიამ, ახალმა მემარჯვენებმა და მრეწველებმა საპროტესტო აქციებში მონაწილეობა არ მიიღეს.

<sup>19</sup> მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიამ (თბილისი), რომელზეც საზღვარგარეთიდან მიღებული ხმები იყო მიმავრებული, ვერ შეასრულა სასამართლოს დადგენილება ხმების ხელახალი დათვლის შესახებ, საარჩევნო ბიულეტენებისა და ამომრჩეველთა სიების არარსებობის გამო.

6 ნოემბერს, როდესაც გამოქვეყნდა აჭარიდან მიღებული არადამაჯერებელი შედეგები და ანტაგონიზმმა კიდევ უფრო იმატა, დემონსტრაციებმა დამატებითი იმპულსი მიიღო. ამ პერიოდში, დემონსტრაციები ასევე ტარდებოდა რამოდენიმე საოლქო საარჩევნო კომისიის წინ საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში. საპროტესტო აქციებს შორის იყო ერთკვირიანი პიკეტი პარლამენტის შენობასთან, რომლის დროსაც წამყვანი ოპოზიციური პოლიტიკოსები სხვადასხვა მოთხოვნებს აცხადებდნენ, მათ შორის არჩევნების შედეგების გაუქმებასა და პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომას. 14 ნოემბერს, თბილისში გამართული მიტინგის შემდეგ, ორმა ოპოზიციურმა პარტიამ დაასრულა პარლამენტის შენობის პიკეტირება და მხარდამჭერებს მშვიდობიანი სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში მონაწილეობისაკენ მოუწოდა. დემონსტრაციები გრძელდებოდა საქართველოს ქალაქებსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში. 18 ნოემბერს, აღორძინებამ თბილისში საკუთარი დემონსტრაცია მოაწყო, რომელშიც როგორც პარტიის მხარდამჭერები, ისე პრეზიდენტის მხარდამჭერი ძალები მონაწილეობდნენ. ამ დემონსტრაციის მონაწილეები პარლამენტის შენობასთან 22 ნოემბრამდე რჩებოდნენ.

22 ნოემბერს, ნაციონალური მოძრაობისა და ბურჟანაძე-დემოკრატების ლიდერებმა და მათ მხარდამჭერებმა არ დაუშვეს ახალი პარლამენტის შეკრება და 23 ნოემბერს პრეზიდენტი შევარდნაძე გადადგა. პოლიტიკური კრიზისის განმავლობაში, წესრიგის დამცველნი და ოპოზიციური დემონსტრანტები თავშეკავებულად იქცეოდნენ და მშვიდობიანი შეკრების უფლება და აზრის გამოთქმის თავისუფლება ძირითადად დაცული იყო. თუმცა, 19 ნოემბერს ზუგდიდში ადგილი ჰქონდა ძალადობრივ ინციდენტს, ხოლო ბოლნისში ოპოზიციის მშვიდობიან დემონსტრაციას თავს დაესხნენ სახელისუფლებო ძალების მხარდამჭერები, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

25 ნოემბერს, უზენაესმა სასამართლომ გააუქმა პროპორციული სისტემით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები, რადგან, ფართოდ გავრცელებული გაყალბების გამო, შეუძლებელი იყო ხალხის ნების დადგენა. 27 ნოემბერს, 80-ზე მეტი პარლამენტის წევრისაგან შემდგარმა ჯგუფმა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა პეტიცია 2 ნოემბერს ორივე სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საჩივარი ტექნიკურ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა.

თუმცა, მოსარჩელებს მიეცათ სამი დღე პეტიციის გასასწორებლად. 1 დეკემბერს, დოკუმენტები ხელახლა იქნა წარდგენილი, მაგრამ სასამართლომ დაადგინა, რომ პეტიციის წარმოებაში მიღება შეუძლებელი იყო, რადგან ხელმომწერთა რაოდენობა პარლამენტის წევრთა საჭირო რიცხვზე ნაკლები იყო.<sup>20</sup> პრეზიდენტის მოვალეობების შემსრულებელმა გადაწყვიტა არ მიემართა სასამართლოსთვის და სამწუხაროდ, მაჟორიტარული არჩევნების შედეგების გაუქმება ვერ მოხერხდა. ახლად დაკომპლექტებულმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა, რომ მაჟორიტარული არჩევნების დასრულება მისი მოვალეობა იყო. აქედან გამომდინარე, 2004 წლის 4 იანვარს რამოდენიმე ოლქში ხელახალი ხმის მიცემა და არჩევნების მეორე ტური გაიმართა.

1999 წელს არჩეული პარლამენტი ხელახლა შეიკრიბა საპარლამენტო არჩევნების პროცესის დასრულებამდე. 25 ნოემბერს, მან, კონსტიტუციის შესაბამისად, დანიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები 2004 წლის 4 იანვრისათვის. 28 ნოემბერს, პარლამენტმა ერთიან საარჩევნო ოლქში ცვლილებები შეიტანა. ცვლილებები შეზღუდულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ აგვარებდა 2 ნოემბერს შემწინეულ

<sup>20</sup> საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის გასაჩივრება მხოლოდ პარლამენტის ერთ მეხუთედს (47 დეპუტატი) ან პრეზიდენტს შეუძლია.

რამოდენიმე პრობლემას, მათ შორის მარკირების გამოყენებას ყველა საარჩევნო უბანში და იმ გაუმართლებელი საკანონმდებლო დებულების გაუქმებას, რომლის თანახმადაც პიროვნებების წინააღმდეგ მიმართულ საარჩევნო საჩივრებში მათი რეგისტრაციის ადგილი უნდა ყოფილიყო მითითებული. წარსულში, ამ დებულების გამო ბათილად იქნა მიჩნეული მთელი რიგი საჩივრები, რომლებიც კანონის ყველა სხვა მოთხოვნას აკმაყოფილებდა.

## XV. რეკომენდაციები

გარდა იმისა, რომ მომავალი არჩევნების დროს საჭირო იქნება უფრო ძლიერი პოლიტიკური ნების გამოვლენა ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად, განსახილველად და სამოქმედოდ შემოთავაზებულია ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები.

### ა. ზოგადი ნაწილი

1. 2003 წლის არჩევნების შემდეგ, ხელისუფლებამ უნდა აღადგინოს დემოკრატიული არჩევნების პროცესისადმი და სახელმწიფო ინსტიტუტების მიუკერძოებლობისადმი საზოგადოების ნდობა.

- საარჩევნო კომისიების წევრობა უნდა აეკრძალოთ იმ ადამიანებს, რომლებმაც დაუშვეს ან ჩაიდინეს გაყალბება ან ან წინა არჩევნების დროს;
- არჩევნებთან დაკავშირებული კანონების დარღვევისთვის დაუსჯელობის ატმოსფეროს აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ იმ ადამიანების პასუხისგებაში მიცემით, რომლებმაც კანონი შეგნებულად და განზრახ დაარღვიეს;
- ახალმა ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სასამართლოების ფუნქციონირება ხელისუფლების სხვა შტოების ჩარევის გარეშე და მათი გადაწყვეტილებების შესრულება.

რეალისტური განრიგი უნდა დაწესდეს მომავალი არჩევნებისათვის მოსამზადებლად. აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ მეტი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს ამ განრიგის შესრულების მხრივ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს არჩევნების დროული მომზადება, რაც ხელს შეუწყობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

2. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო პროცესის დასაწყისშივე უნდა მიიღოს შესაბამისი თანხა, რაც მას საშუალებას მისცემს იმოქმედოს უფრო ეფექტიანად, ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების ჩარევის გარეშე. საოლქო საარჩევნო კომისიებს ესაჭიროებათ მინიმალური აუცილებელი სამუშაო პირობები, მათ შორის კომპიუტერი და ფაქსის აპარატი.

### ბ. არჩევნების საკანონმდებლო ჩარჩო

მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი საარჩევნო კოდექსი წინა კანონმდებლობასთან შედარებით უკეთესი იყო, შესაძლებელია მისი შემდგომი გაუმჯობესება. პრინციპული საკითხია, რომ საარჩევნო კანონმდებლობა არ იცვლებოდეს საარჩევნო პროცესის დროს. იმის გამო, რომ 28 მარტს დაგეგმილია ხელახალი საპარლამენტო არჩევნები, მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა მოკლე დროში არარეალურია. ამიტომ, საკანონმდებლო ჩარჩოსთან დაკავშირებული რეკომენდაციები დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს საპარლამენტო არჩევნების პროცესის დამთავრების შემდეგ.

3. ერთიანი საარჩევნო კოდექსი განსაზღვრავს საარჩევნო ერთეულებს, რომლებიც მაჟორიტარულ არჩევნებში გამოიყენება. ამჟამად არსებული დიდი განსხვავება ამ ერთეულების ელექტორატის სიდიდეს შორის არ შეესაბამება ეუთო-ს თანაბარი საარჩევნო უფლების პრინციპს. მაგალითად, ყაზბეგის ოლქში რეგისტრირებულია 5 400 ამომრჩეველი, ხოლო ქუთაისში -- 116 000. ორივე ოლქმა თითო მაჟორიტარული მანდატი მიიღო. ძალზედ მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა, რომ ეს საკითხი მოგვარებულ იქნეს და განსხვავება ყველაზე დიდ და ყველაზე პატარა საარჩევნო ოლქებს შორის 10%-ს არ აღემატებოდეს.

4. პროპორციულ არჩევნებში დაწესებული 7% ბარიერი მაღალია ეუთო-ს წევრი სხვა სახელმწიფოების უმრავლესობასთან შედარებით.<sup>21</sup> მიუხედავად იმისა, რომ ეს კონსტიტუციური დებულებაა, პარლამენტმა ხელახლა უნდა განიხილოს ბარიერის საკითხი 2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

5. ერთიანმა საარჩევნო კოდექსმა ზუსტად უნდა განსაზღვროს საბაზისო რიცხვი (ანუ, 100%), რომლის საფუძველზე გამოითვლება 7%. ეს შეიძლება იყოს „ყველა ჩაყრილი ბიულეტენის“ 7% (მიუხედავად იმისა, თუ განისაზღვრება ეს), ან უბრალოდ „ნამდვილი ხმების“ 7%. ამ ბუნდოვანებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს პარლამენტის შემადგენლობაზე.<sup>22</sup> ჩვენი რეკომენდაციაა, რომ გაანგარიშება მოხდეს ნამდვილი ხმების რაოდენობაზე დაყრდნობით, რადგან მხოლოდ ეს ხმები ასახავს მკაფიო პოლიტიკურ არჩევანს.

6. ერთიანმა საარჩევნო კოდექსმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ამომრჩეველთა აქტივობის (არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობის) გაანგარიშების მეთოდი. ჩატარებულად ცნობილი არჩევნებისათვის მინიმალური აქტივობის დადგენის დებულება ამომრჩეველთა ზუსტი სიების არსებობას გულისხმობს. თუ ამის გარანტირება შეუძლებელია, განხილულ უნდა იქნეს ამ დებულების გაუქმების საკითხი.

7. უნდა გადაისინჯოს დებულება, რომლის მიხედვით პროპორციული არჩევნები ხელახლა ტარდება მხოლოდ იქ, სადაც გაუქმდა შედეგები, რომლებიც ამომრჩეველთა მთლიანი რაოდენობის 10% აღწევს.

8. შეიცვალოს ერთიანი საარჩევნო კოდექსის 67-ე მუხლი, რათა საარჩევნო კომისიების მუშაობაზე დაკვირვების საშუალება ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთზე მეტ მეთვალყურეს მიეცეს.

9. „რეფერენდუმების შესახებ“ ორგანული კანონი უნდა გახდეს ერთიანი საარჩევნო კოდექსის ნაწილი, ხოლო არსებული კანონი უნდა გაუქმდეს.

## ბ. კანდიდატების წარღბენა და რეზისტრაცია

10. იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო ოლქში რეგისტრაცია გაიარა მხოლოდ ერთმა კანდიდატმა, არჩევნები უნდა გადაიდოს და დაინიშნოს ახალი არჩევნები. არჩევნები არ უნდა ჩატარდეს მხოლოდ ერთი კანდიდატის მონაწილეობით. იმ შემთხვევაში,

<sup>21</sup> 1999 წელს, კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტში შეიტანეს ცვლილება, რომლის თანახმადაც ბარიერი 5%-დან 7%-მდე გაიზარდა.

<sup>22</sup> 1999 წელს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ პარტიებს სჭირდებოდათ არჩევნებში მონაწილეთა 7%. ლეგობრისტულმა პარტიამ მიიღო ჩაყრილი ბიულეტენების 7%-ზე ნაკლები (რაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განისაზღვრა, როგორც არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა), მაგრამ ნამდვილი ხმების 7%-ზე მეტი.

თუ კანდიდატი მეორე ტურში საკუთარ კანდიდატურას მოხსნის, მესამე ადგილზე გასულ კანდიდატს უნდა მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება.

11. საარჩევნო კომისიებს უნდა დაევალოთ კანდიდატების ოფიციალურად გაფრთხილება, ვიდრე გააუქმებენ მათ რეგისტრაციას კამპანიასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევის გამო.

12. დამოუკიდებელი და პარტიული კანდიდატებისათვის რეგისტრაციისა და საჩივრების შეტანის პროცედურები ერთნაირი უნდა იყოს.

13. მაჟორიტარულ არჩევნებში კანდიდატად რეგისტრირების მიზნით 1000 ხელმოწერის შეგროვება მეტად რთული შეიძლება იყოს იმ 6 ოლქში, სადაც ეს რიცხვი მოსახლეობის 10% აღემატება. ამიტომ, შეგროვებული ხელმოწერების რაოდენობა უნდა შემცირდეს ოლქის მოსახლეობის პროპორციულად. ამ რეკომენდაციის განხილვა კონსტიტუციის შეცვლას მოითხოვს.

## დ. საარჩევნო კამპანია და მედია

14. არჩევნებამდე, მთავრობა დაიმუქრა 1997 წელს მიღებული „საჯარო მანიფესტაციების შესახებ“ კანონის გამოყენებით, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ხელისუფლება 5 დღით ადრე უნდა იყოს გაფრთხილებული დაგეგმილი საჯარო შეხვედრების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი გამოყენებული არ ყოფილა, მას შეიძლებოდა სერიოზულად შეეზღუდა პარტიების მიერ კამპანიის ჩატარების შესაძლებლობა. ამიტომ, ეს დებულება უნდა გადაისინჯოს ახალი პარლამენტის მიერ.

15. სახელმწიფო მედია ვალდებული უნდა იყოს, ერთნაირად მოეპყროს არჩევნების ყველა მონაწილეს არა მხოლოდ სპეციალურ საარჩევნო გადაცემებში, არამედ ყველა სხვა გადაცემებში, მათ შორის თავისი ახალი ამბების გამოშვებებში.

16. ერთიანმა საარჩევნო კოდექსმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ეხება თუ არა სახელმწიფო მედიასთან დაკავშირებული ვალდებულებები როგორც ადგილობრივი ისე ცენტრალური დონის მედიას და უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბოს, თუ რომელი მედია ითვლება „სახელმწიფოდ“.

## ე. საარჩევნო ადმინისტრაცია

17. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი გადაწყვეტს პარტიული საარჩევნო კომისიების შენარჩუნებას, ერთიანმა საარჩევნო კოდექსმა უნდა უზრუნველყოს საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაში პოლიტიკური ბალანსის არსებობა, რომელიც მსხვილი პოლიტიკური პარტიების ნდობას დაიმსახურებს. კარგი იქნებოდა ისეთი დებულებების შემოღება, რომლებიც დაადგენს, რომ კომისიების ყველა წევრი თავის სამუშაოს პროფესიონალურად და კანონთან სრულ შესაბამისობაში უნდა ასრულებდეს.

18. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების სწავლების პროგრამა მომდევნო არჩევნებამდე დიდ ხნით ადრე უნდა შემუშავდეს. სწავლებამ უნდა უზრუნველყოს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ინფორმირება კანონის დარღვევისათვის გათვალისწინებული სასჯელის შესახებ.

## ვ. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

19. სამოქალაქო მდგომარეობის და საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის სამსახურების ფუნქციონირება მუნიციპალურ და ცენტრალურ დონეებზე დეტალური განხილვის საგანი უნდა გახდეს. კანონმდებლობამ უნდა განმარტოს ყველა სამსახურის მოვალეობები და უზრუნველყოს მოქალაქეთა სამოქალაქო მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ პირადი მონაცემების ორგანიზებულად და დროულად შეგროვება, რეგისტრაცია, შენახვა და რეგულარული განახლება მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვით. ეს არის ზუსტი საარჩევნო სიების არსებობის წინაპირობა.

20. შედგენილ უნდა იქნეს მოქალაქეთა/ამომრჩეველთა ეროვნული, ცენტრალიზებული სია, რომლის მეშვეობით განხორციელდება საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა მუდმივი აღრიცხვა. მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ სიების პერიოდულად შემოწმება და არა მხოლოდ საარჩევნო პერიოდებში. სამოქალაქო მდგომარეობის და საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის სამსახურები ვალდებული უნდა იყვნენ რეგულარულად გადასცენ შესაბამისი მონაცემები იმ სამსახურებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამომრჩეველთა სიების შედგენასა და შენახვაზე. ინფორმაცია საარჩევნო სიების შესახებ, მაგალითად, საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა, ინტერნეტში უნდა იყოს გამოქვეყნებული.

21. მანამ სანამ ამომრჩეველთა სიების სიზუსტე არ იქნება ფართოდ გავრცელებული „საუკეთესო პრაქტიკის“ შესაბამისი, მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ რეგისტრაციის გავლა არჩევნების დღეს იმ შემთხვევაში, თუ მათი არჩევნებში მონაწილეობის უფლება გულდასმით არის შემოწმებული და დადასტურდა (მარკირების გამოყენების მეშვეობით), რომ მათ ხმა ჯერ არ მიუციათ. არჩევნებში მონაწილეობის უფლების არჩევნების დღეს დადგენა შეიძლება დაევალოს სასამართლოებს, რომლებსაც შეეძლება მოქალაქეებისათვის მოწმობების გაცემა, რომლის საფუძველზეც შემდგომ იმოქმედებს საუბნო საარჩევნო კომისია.

## ზ. არჩევნების დღე

22. ხმის მიცემის ფარულობის უკეთ დაცვის მიზნით, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს არ უნდა ჰქონდეთ საშუალება შეეხონ შევსებულ საარჩევნო ბიულეტენებს. ამიტომ, ამომრჩევლებმა უნდა მიიღონ კონვერტები და მათში საარჩევნო ბიულეტენები თავად მოათავსონ. საუბნო საარჩევნო კომისიებმა ბიულეტენზე ხელმოწერების სწორი რაოდენობის და ბეჭდის არსებობა უნდა შეამოწმონ ამომრჩევლის მიერ ბიულეტენის შევსებამდე.

23. განხილულ უნდა იქნეს თითოეულ საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის შემდგომი შემცირება, მაგალითად, მათი რიცხვის განახევრება, რაც ხელს შეუწყობს უფრო ორგანიზებულ კენჭისყრას. თუმცა, ამან შეიძლება დამატებითი ხარჯები წარმოშვას. ხარჯების შემცირება შესაძლებელია საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობის შემცირების გზით.

24. ერთიანმა საარჩევნო კოდექსმა ან ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ზუსტად უნდა განსაზღვროს:

- რომელი ბიულეტენები უნდა იქნეს დათვლილი პირველ რიგში ყველა კონვერტის გახსნის შემდეგ. ამით შესაძლებელია სხვადასხვა არჩევნების ბიულეტენების ერთდროულად დათვლის თავიდან აცილება;
- გარემოებები, როდესაც ხმა (ანუ, საარჩევნო ბიულეტენი ან ბიულეტენები და კონვერტი) ბათილად ჩაითვლება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც რამოდენიმე ბიულეტენი ერთსა და იმავე კონვერტში თავსდება;

- რა ქმედებები უნდა იქნას განხორციელებული იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო ეუთოში კონფერტების რაოდენობა აღემატება საარჩევნო სიაში (სიებში) ხელმოწერების რაოდენობას.

25. საარჩევნო უბნის ოქმში შესატანი მონაცემების რაოდენობა უნდა შემცირდეს ოქმის შევსების გაადვილების მიზნით (ამავე დროს, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, რომ ოქმში ყველა საჭირო მონაცემი შეიტანონ). ოქმი უნდა შეიცავდეს მისი სწორი შევსების ინსტრუქციას საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთათვის.

26. კანონის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმები უნდა იყოს დანომრილი და დაბეჭდილი სპეციალურ ქაღალდზე. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მითითებებში მკაფიოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ ოქმი №1 და ოქმი №2 უნდა გეგზავნოს შესაბამისად ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საოლქო საარჩევნო კომისიას. გამოუყენებელი ოქმები საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ უნდა გაბათილდეს.

#### **თ. არჩევნების დღის შემდეგ**

27. საოლქო საარჩევნო კომისიებს უნდა დაევალოთ ისეთი ოქმის შევსება, რომელიც შეიცავს ამ ოლქში შემავალი ყოველი ცალკეული საარჩევნო უბნის შედეგებს (ცხრილის ფორმატში) და რომელიც საოლო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის განუყოფელი ნაწილი იქნება, რათა პარტიებმა შეძლონ ოლქის დონის შედეგების გაანგარიშების გადამოწმება.

28. ერთიანი საარჩევნო კოდექსი მკაფიოდ უნდა ადგენდეს, თუ რა გარემოებებში მოხდება საარჩევნო ბიულეტენების ხელახალი დათვლა არჩევნების დღის შემდეგ და რა პროცედურები უნდა იქნას გამოყენებული სრული გამჭვირვალობის დაცვით.

29. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა გააუმჯობესოს მის მიერ წინასწარი შედეგების გამოცხადების დაგეგმვა. თანამშრომლებმა უნდა გაიარონ შესაბამისი სწავლება, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებმა უნდა მიიღონ სავალდებულო ინსტრუქცია ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის შედეგების გადაცემის შესახებ.

30. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა მოეთხოვოს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნება უფრო ადრე, ვიდრე არჩევნებიდან არაუგვიანეს 18 დღისა. მიმდინარე საჩივრები შედეგების გამოცხადებას ხელს არ უნდა უშლიდეს. კანონით უნდა განისაზღვროს გონივრული ვადა ახალი პარლამენტის შეკრებამდე არჩევნების საბოლოო შედეგების გასაჩივრებისათვის.

#### **ი. სხვადასხვა**

31. ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესში მონაწილეობისათვის ხელის შეწყობის მიზნით, ეთნიკური უმცირესობების განსახლების ადგილებში საუბნო საარჩევნო კომისიების სახელმძღვანელოები, ოქმები, საარჩევნო ბიულეტენები და საჯარო საინფორმაციო მასალები ხელმისაწვდომი უნდა იყოს უმცირესობების ენებზე ან რუსულად.

32. სასამართლოებმა არჩევნებთან დაკავშირებულ საქმეებში დამარცხებულ მხარეებს არ უნდა დააკისრონ სასამართლოს წარმოებასთან დაკავშირებული გაუმართლებელი ხარჯები.

## ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი არის ეუთო-ს ძირითადი ინსტიტუტი, რომელიც ეხმარება ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სრული დაცვის უზრუნველყოფაში, კანონის უზენაესობის დაცვაში, დემოკრატიის პრინციპებისათვის ხელის შეწყობაში და (...) დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში, გაძლიერებასა და დაცვაში და ასევე მთელს საზოგადოებაში შემწყნარებლობის დამკვიდრებაში.“ (1992 წლის ჰელსინკის დოკუმენტი).

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში განლაგებული დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი შეიქმნა როგორც თავისუფალი არჩევნების ოფისი 1990 წლის პარიზის სამიტზე და მუშაობა 1991 წლის მაისში დაიწყო. ერთი წლის შემდეგ, ოფისის სახელწოდება შეიცვალა, რათა ასახულიყო მისი მანდატის გავრცელება ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიზაციაზე. დღეს მას 100-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს.

**არჩევნებზე დაკვირვების** სფეროში, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ევროპის წამყვანი ორგანიზაციაა. ყოველწლიურად, ის კოორდინაციასა და ორგანიზებას უწევს ათასობით დამკვირვებელს მივლინებას, რათა შეაფასოს, თუ რამდენად შეესაბამება ეუთო-ს სივრცეში გამართული არჩევნები ადგილობრივ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს. მისი უნიკალური მეთოდოლოგია საარჩევნო პროცესის ყველა ელემენტის დეტალურად შესწავლის საშუალებას იძლევა. დახმარების პროექტების მეშვეობით, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი წევრ სახელმწიფოებს მათი საარჩევნო ჩარჩოს გაუმჯობესებაში ეხმარება.

**დემოკრატიზაციასთან** დაკავშირებული ოფისის საქმიანობა შეიცავს შემდეგ თემატურ სფეროებს: კანონის უზენაესობა, სამოქალაქო საზოგადოება, გადაადგილების თავისუფლება, ქალთა თანასწორუფლებიანობა და ადამიანების ტრეფიკინგი. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ყოველწლიურად ახორციელებს მიზნობრივი დახმარების რამოდენიმე პროგრამას, რათა გაადვილოს და გააუმჯობესოს სახელმწიფოების მიერ ეუთო-ს ვალდებულებების შესრულება და დემოკრატიული სტრუქტურების განვითარება.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი აკვირდება წევრი სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ეუთო-ს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ეხმარება მათ **ადამიანის უფლებათა** დაცვის გაუმჯობესებაში. ის ასევე აწვობს წელიწადში რამოდენიმე შეხვედრას, რათა განიხილოს წევრი სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი წევრ სახელმწიფოებს რჩევით ეხმარება **რომასა და სინტისთან** დაკავშირებულ პოლიტიკის გატარებაში. ის ხელს უწყობს რომასა და სინტის თემებში შესაძლებლობების გაზრდასა და კავშირების განვითარებას და მხარს უჭერს რომას და სინტის წარმომადგენლების მონაწილეობას სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებელი ორგანოების საქმიანობაში. ოფისი ასევე მოქმედებს, როგორც სინტისა და რომას საკითხებზე ინფორმაციის გაცვლის ადგილი ეროვნული და საერთაშორისო აქტორებისათვის.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საქმიანობა ემყარება მჭიდრო კოორდინაციასა და თანამშრომლობას ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებთან, ეუთო-ს ორგანოებთან და ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ინტერნეტ-გვერდზე ([www.osce.org/odihr](http://www.osce.org/odihr)).